# საერთო გაზეთი

№17 (656)
ოთხშაბათი
18 მაისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.




## რატომ არის ბიძინა ივანიშვილი „რუსი ოლიგარქი“? ქართველებს საქართველო რომ შეუნარჩუნა და გადაურჩინა, იმიტომ?





## დიმიტრი ლორთქიფანიძე: რუსეთი თუ დაიშლება, საქართველო, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს – მას მუსულმანური გარემოცვა მთლიანად შთანთქავს



## მიშა ხალხოსანი და გიულ-დედულიანი





## რა ნათესაური კავშირია ციცერონსა და ნიკა გვარამიას შორის?

## ინგა, ავნოლდარა და ადოლფის ავი სიზმრები





## სიკვდილის კალო

## მსოფლიოს ქვეყნების ქალი თავდაცვის მინისტრები



## კობა არაბული: არ ჩააშტერდე სახეში მიცვალებულს, მით უფრო, მიცვალებულები არ შემოდო სახურავზე!

## ნანა კაკაბაძე: სიკვდილის ბრიგადები დღესაც არსებობს და მიხეილ სააკაშვილს ლიკვიდაციის საფრთხე ყველაზე მეტად თავისი გარემოცვიდან ემუქრება

## მანრო გიორგობიანი: საქართველოს მოღალატეა ყველა, ვინც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე მოაწერა ხელი

# რატომ არის ბიძინა ივანიშვილი „რუსი ოლიგარქი“? ქართველებს საქართველო რომ შეუნარჩუნა და გადაურჩინა, იმიტომ?

ვახტანგ ხარჩილავა

საიდან არ შემოუარეს, როგორ არ უტრიალეს, მაგრამ ურყევი და მტკიცე აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია — საქართველო არც სანქციებს შეუერთდება და არც მეორე ფრონტის გახსნას აპირებს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან რომ ვერაფერს გახდნენ, ახლა ბიძინა ივანიშვილს დაუწყეს ჩხირკედელაობა — ივანიშვილი რუსი ოლიგარქია და ის უშლის ხელს საქართველოს ომში ჩართვასო.

რატომ არის ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქი, იქნებ, ვინმემ გამაგებინოს და დასაბუთებული პასუხი გამცეს.

**რა ნიშნით არის ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქი** — „სამება“ რუსებს აუშენა თუ ქართველებს? სამი მილიარდი რუსებს დაახარჯა თუ ქართველებს? ეს უამრავი ეკლესია-მონასტერი რუსებს გაურემონტა, უამრავი უმნიშვნელოვანესი ობიექტი რუსებს აუშენა? თავისი ქველმოქმედებით ათიათასობით რუსი გადაარჩინა თუ ქართველს? რუსული უნივერსიტეტები, რუსული თეატრები დააფინანსა თუ ქართულ უნივერსიტეტებს და თეატრებს შთაბერა ახალი სიცოცხლე? რუს ინტელიგენციას ეხმარებოდა თუ ქართველ მწერლებს, მსახიობებს და თეატრალებს? რუს სპორტსმენებს აუშენა ამდენი სტადიონი და სპორტული დარბაზი თუ ქართველებს?

პასუხი ნათელი და მარტივია: **ბიძინა ივანიშვილს რა სიკეთეც გაუკეთებია თავისი ცხოვრების მანძილზე, ყველაფერი ქართველებისა და საქართველოსთვის გააკეთა.**

მთელი მისი ცხოვრება უპრეცედენტო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი თავის სამშობლოს.

მან თავის დროზე, საკუთარი სიცოცხლე, თავისი ოჯახის უსაფრთხოება სასწორზე შეაგდო და ბოროტებასთან ისეთ ომში შევიდა, საიდანაც გამარჯვებული გამოვიდოდა თუ დამარცხებული, წინასწარ არავინ იცოდა.

**ბიძინა ივანიშვილი საქართველოსთვის თავდადებული, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოსთვის თავშეწირული კაცია და არა რუსი ოლიგარქი.**

თუ ვინმე ამ ეპითეტს იმიტომ იყენებს, რომ ივანიშვილს ბიზნესი ჰქონდა რუსეთში, ამ საზომით თუ მივუდგებით, მაშინ რუსი ოლიგარქები ყოფილან ისინიც, ვინც რუსეთში ბიზნესსაქმიანობას ეწეოდნენ.

ასეთები კი ძალიან ბევრია ამერიკაშიც, ევროპაშიც, სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებსაც რუსეთში გაცილებით მეტი ფინანსები აქვთ გამომუშავებული, ვიდრე ივანიშვილს.

რა ვქნათ ახლა, ჩამოვწეროთ გრძელი სია და ეს ადამიანები რუს ოლიგარქებად გამოვაცხადოთ, სანქციები დავუწესოთ, ანგარიშები გავუყინოთ, ქონება წავართვათ მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც ხელი აქვს ჩამორთმეული პუტინისთვის.

მსოფლიომ ამ გზით თუ იარა, აუცილებლად მივალთ საბედისწერო ხასიათის ეკონომიკურ კრიზისამდე.

მითი ბიძინა ივანიშვილის რუსი ოლიგარქობის შესახებ პირველად ნაციონალებმა შეთხზეს და ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული შავი პიარის მთავარ თემად აქციეს, ეს იმ დროს, როცა ნაციონალებს თვითონ ჰქონდათ და დღემდე აქვთ მჭიდრო კავშირები რუსულ ბიზნესთან.

სწორედ ნაციონალებმა გაასხვისეს და გააფეშქაშეს რუსებზე სტრატეგიული თუ არასტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, რაც, ცხადია, უანგაროდ არ ხდებოდა.

„ნაცმოძრაობა“ საერთოდ როგორ ბედავს სხვის „რუსობაზე“ საუბარს, როცა პრეზიდენტობის კანდიდატად რუსული პოლიტიკურ ძუძუთი გაზრდილი ადამია-



ნი წარადგინეს, პარტიის თავმჯდომარედ რუსეთის მოქალაქე ჰყავთ, საარჩევნო კამპანია კი რუსულ ენაზე შესრულებული სიმღერით გახსნეს — ვითომ ფონოგრამა აერიათ.

ნაცებს დიდი ხანია, ფონოგრამასთან ერთად „რამსებიც“ აერიათ და მსოფლიო პოლიტიკის ღობე-ყორეს დარეტიანებულებივით ედებიან.

ჭორების გავრცელება, საკუთარი ქვეყნის ჩაშვება და დასმენა, მათი პროფესიაა.

ბიძინა ივანიშვილის „რუსი ოლიგარქობის“ ამბავიც მათ მიერ არის მოგონილი და სხვადასხვა წყაროებით გავრცელებული.

ივანიშვილის წინააღმდეგ ბოლო დროს გააქტიურებული უღირსი კამპანიის სათავეშიც ნაციონალები დგანან.

სწორედ ისინი არწმუნებენ ამერიკელებსაც და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებსაც, რომ საქართველო იმიტომ არ უერთდება სანქციებს და იმიტომ არ ხსნის მეორე ფრონტს რუსეთის წინააღმდეგ, რომ პროცესებს კულისებიდან რუსი ოლიგარქი ივანიშვილი მართავს, რომელიც ქვეყანას და ქართველ ხალხს მოქმედების საშუალებას არ აძლევს, თორემ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მზად არის, იარაღი აისხას და მტერს ეკვეთოს.

ნაციონალებო, თქვე უნამუსოებო და უსინდისოებო, რა შუაშია აქ ან ბიძინა ივანიშვილი, ან „ქართული ოცნების“ ხელისუფლება — ქართველმა ხალხმა შესანიშნავად იცის, რომ ამ ომში ჩართვა კატასტროფული შედეგებით დამთავრდება ქართული სახელმწიფოსთვის და, ცხადია, თვით ქართველი ხალხისთვის.

ბევრს უთქვამს და მათ შორის მეც, 2008 წლიდან საქართველო, ფაქტობრივად, რუსულ ალყაშია მოქცეული და რუსებს ძალზე ადვილად, დიდი ძალისხმევის გარეშე, დროის მოკლე მონაკვეთში შეუძლიათ, სრული კონტროლი დაამყარონ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

რა ფრონტის გახსნა, რისი ფრონტის გახსნა — საკმარისია, ერთი მკვეთრი ნაბიჯი გადავდგათ და მყისვე ცეცხლის რკალში აღმოვჩნდებით.

ომიც არ ჰქვია ამას — ეს სასაკლაოა, სადაც ოთხივე მხრიდან ალყაში მოქცეულებს უმოწყალოდ ამოგვჟუჟავენ.

ამიტომაც სრულიად ალოგიკური და უაზროა საქართველოს ხელისუფლებაზე ის მასირებული ფსიქოლოგიური ზეწოლა, რომლითაც ცდილობენ, ის აიძულონ, წავიდეს ხალხის ნების წინააღმდეგ.

სამაგიეროდ, ნაციონალები სრულ მზადყოფნას გამოთქვამენ, ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ საქართველო დაუყოვნებლივ ჩააბან ომში, ოღონდ, ეს რომ მოხდეს, ჯერ „ქართული ოცნება“ უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან, ეს კი, მათი გათვლით, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, თუ „ქართულ ოცნებას“ მთავარ საყრდენს — ბიძინა ივანიშვილს გამოაცლიან.

ამასწინათ ერთი ასაკოვანი უცხოელი ექსპერტი თუ პოლიტოლოგი გამოვიდა ტელევიზიით (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს) და თავიდან ბოლომდე, დეტალებში ჩამოარაკრაკა ის სცენარი, კონკრეტულად როგორ უნდა განხორციელდეს ივანიშვილის „გაუვნებელყოფის“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების გეგმა, რის შემდეგაც აქ მეორე ფრონტის გახსნას წინ არაფერი დაუდგება თურმე.

ფაქტობრივად, რასაც ეს ტიპი ლაპარაკობდა, სახელმწიფო გადატრიალების პროექტი იყო.

კი, მაგრამ, ვინ მისცა ამ არამკითხეს, უცხო ქვეყნის საქმეებში ჩაერიოს და სახელმწიფო გადატრიალების და ხელისუფლების დამხობის გეგმები საჯაროდ და სახალხოდ დაალაგოს?

●

შეიძლება რომელიმე ამერიკელმა კონგრესმენმა, ან ევროპარლამენტის წევრმა ბოლომდე არ იცოდეს, რა ამაგი მიუძღვის ბიძინა ივანიშვილს საქართველოს წინაშე.

არ იცოდეს და, აქედან გამომდინარე, ადვილად დაიჯეროს ამა თუ იმ არაკეთილსინდისიერი წყაროსგან მოწოდებული ცრუ ინფორმაცია ივანიშვილის შესახებ, მაგრამ, როდესაც საქართველოში ცხოვრობ და საკუთარი თვალით გაქვს ნანახი ყველა ის სიკეთე, რაც ივანიშვილს აქვს გაკეთებული, როცა პირადად იცნობ უამრავ ადამიანს, რომლებსაც ივანიშვილმა სიცოცხლე აჩუქა, გაჭირვების დროს გვერდით დაუდგა და ამ ადამიანთა შორის აუცილებლად იქნებიან შენი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები, როგორი სინდისგარეცხილი, რა დონის უტიფარი და უნამუსო უნდა იყო, თქვა: ბიძინა ივანიშვილს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიაო.

ამის მკადრებელი და ამის მთქმელი ქართველი კაცი კაცად არ ვარგა, ხოლო, როცა კაცი კაცად არ ვარგა, ის არც პოლიტიკოსად ვარგა, არც მეგობრად და არც მოქალაქედ.

არადა, რამდენია ამის მთქმელი საქართველოში.

გული სევდით მევსება, როცა გავიფიქრებ: ნუთუ ამდენი უსინდისო, ამდენი უმადური, ამდენი დაუნახავი ადამიანი ცხოვრობს ამ პატარა ქვეყანაში?

თუ ეს ასეა, მაშინ საერთოდ რა გვაძლებინებს, საერთოდ როგორ ვდგავართ ფეხზე?

ადამიანს როგორ არ გეწყინება, როცა სიკეთე ბოროტებად გიბრუნდება უკან, მაგრამ მე არ მახსოვს თუნდაც ერთი შემთხვევა, რომ ბატონ ბიძინას რომელიმე უმადური სალახანასთვის პასუხი გაეცეს, ან საყვედური ეთქვას, ან რაიმე სხვა ფორმით გამოეხატოს, რომ გული ატკინეს და უღირსად და არაადამიანურად მოექცნენ.

ის უდრტვინველად იტანს ამ დაუმსახურებელ შეურაცხყოფებს და უსიტყვოდ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ყველას ყველაფერს პატიობს.

**მე არ ვიცი, რამდენად ღრმად მორწმუნე და ღრმად ეკლესიური ადამიანია ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ, როგორც ის იქცევა, ეს არის სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანის, ქრისტიანობის მთავარი სწავლების, მისი მთავარი იდეოლოგიური ფუნდამენტის ერთგული მიმდევრის საქციელი.**

**ბიძინა ივანიშვილი თითქოს საკუთარი სიკეთის ჯვარზე გაკრული კაცია, რომელსაც უბირნი და უმეცარნი ზოგჯერ ტალახს ესვრიან, ის კი ყველას მიმტევებლობით და სიკეთით პასუხობს.**

ბიძინა ივანიშვილზე ბევრი თქმულა, ბევრი დაწერილა, მას ბევრი ადამიანი იცნობს, მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ბოლომდე ძალიან ცოტამ თუ იცის, როგორი დიდბუნებოვანი და ღრმა სულიერების ადამიანია იგი.

# არ ჩააშტერდე სახეში მიცვალებულს

## მით უფრო, მიცვალებულები არ შემოდო სახურავზე!



კობა არაბული:

ერთ თავის ბრწყინვალე წერილში („რა არის თავისუფლება“) ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავისი ყოფა-ქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს, საზოგადოებას... თუ ეს პირობა არ იქნება დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, რადგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისთვის. მხოლოდ ამაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს, ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო — არა! ყოველ სიტყვას და მოქმედებას უნდა საზოგადო, საერთო ბედნიერება ედოს სარჩულად!..“

დიდი ვაჟას ეს დასკვნა არის ჩვენი ავადმყოფი ტელევიზიების და ავაზაკი პარტიების რეცეპტი.

●

ამ მორალზე წუხდა და ფიქრობდა კულტურული მსოფლიო დასაბამიდან დღემდე. ამისთვის ქმნიდა რჯულის კაცთა საბჭო მორალის კანონებს ჰამურაბიდან მოყოლებული, ვახტანგ VI-ის ჩათვლით, თუ გნებავთ, ხალხური ანდრეზული სამართალით.

ერთ მაგალითს მოვიტან რჯულის კაცთა საბჭოდან:

რჯულის კაცებს ამბავი მიუტანეს, რომ დამნაშავე ჩაბარუხი სახლის ბანზე გამოვიდა, ჯიხვის ტყავი გაბერტყა და ზედ ნებიერად წამოწვა, თან ყალიონი გააბოლა.

რჯულმა ჩაბარუხს ამგვარი „გამოხატვის თავისუფლება“ მისი საქმის განხილვის დროს მკრეხელობად (სასამართლოს უპატივცემულობად) ჩაუთვალა და დამატებით ჯარიმად („ჯურუმად“) 5 ცხვარი დააკისრა.

ხალხური სამართლის ერთ მაგალითსაც მოვიტან ზნეობის სფეროდან:

მოკლულისთვის მკვლელის მიერ სახეში ჩაშტერება ან თვალებში ჩახედვა მძიმე ამორალურ საქციელად, მიცვალებულის დამცირებად, ცოდვად ითვლებოდა და 5 ძროხით „ჯურუმდებოდა“. ჩვენ ვიცით, როგორ მოიქცა სააკაშვილი ცხინვალთან ომის დროს.

ახლა, რატომღაც, ძალიან უკვირს სექტანტურ ოპოზიციას, არასამთავრობოების კლანურ-ლიბერასტულ კასტას (ეგრეთ წოდებული სახალხო დამცველიანად), როცა სამართალი პასუხს სთხოვს ვიღაცებს დანაშაულისთვის და, თუ გნებავთ, კანონის თავხედური უარყოფისთვის.

ჩვენს ახლანდელ ქუჩაში მოარულ ჯალათებს და მათთან მიერთებულ „ვირისთავებს“ არაფრად მიაჩნიათ სახურავზე გაკოჭილი, ბორკილდადებული მკვდრების შემოდებაც კი და „ორი ტრუპის“ მოთხოვნა და არც ის, რომ „სვანური ვენდეტის“ ავტორი „კუბდარა“ ახლა ქუჩიდან მუქარანარევ მორალს რომ გვიკითხავს.

დანაშაულზე უპასუხობა იწვევს საზოგადოების დეპრესიას და სახელმწიფო უმწეობის განცდას...

●

„არავის არაფერი შეუძლია!“ — ეს ფრაზა რენე გენონს ეკუთვნის. ეს შემაძრწუნებელი მესიჯი გენიალური მისტიკოსის მიერ გადმოტყორცნილია კაცობრიობის გასაგონად.

მართლაც ჩვენს ქვეყანაში ვითარება ისე გართულდა, რომ გაჩნდა სკეპსისი და იმის განცდა, რომ „არავის არაფერი შეუძლია“ და „არაფერს არაფერი ეშველება!“ — ეს ბედისწერული მდგომარეობის განცდაა.

ჩვენი საზოგადოება და სახელმწიფო ისეთ აბსურდულ ვითარებაში აღმოჩნდა, როგორც საბავშვო ბაღის ექსპერიმენტული საცდელი კლასი, რომელსაც არავინ არაფერს ასწავლის და არც ეკითხება მაშინაც კი, თუ პანდემია შეეყარა, პირაკრულს გტოვებს, რომ თევზივით ჩუმად უსმინო ვინმე ევროატლანტოიდური მენტორის შორეულ ხმას და მის დაკრულზე იცეკვო.

ვითარება მართლაც საგანგაშოა, ერისთვის დეპრესიული და ანომალიური — შესუსტებულია შინაგანი ნებელობა, შეკუმშულია საარსებო სივრცე.

ირკვევა, რომ გლობალური მსოფლიო მონსტრის მიზანია ჩვენი ხელისუფლების პარალიზება, მისი დაშლა და რაც შეიძლება დაშორება, ხალხისგან იზოლაცია, საზოგადოების დაყოფა. პანდემიაც ამ ტენდენციას აძლიერებს.

ისინი ქმნიან „სხვა“, არასამთავრობოთა მთავრობებს, აფინანსებენ და ალაპარაკებენ სალხისა და სამართლის სახელით. საქართველოს ეს „სხვა“ მთავრობები აშანტაჟებენ და ანგრევენ. ჩვენ ალყაში ვართ. ისინი მფარველობენ და აცოცხლებენ მკვდარ პარტიებს, როგორც მკვდარი ტბების ქვეწარმავლებს (რეპტილიებს) და უსევენ ხელისუფლებასა და ერს.

მთლიანად მოიწამლა ერის ზნეობრივი სივრცე ამათი ტელევიზიებით, მათი ეგრეთ წოდებული „გამოხატვის და ქცევის“ თავისუფლებით, მათი „დემოკრატიის“ ამორალური ძალადობით...

40 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს რაღაც მინოტარულ ტექსტს სახელმწიფოს წინააღმდეგ და აგზავნის დედამიწის ყოველი მიმართულებით დასასმენად.

60 თითოკაციანი პარტია — დამნაშავე, კომპრომეტირებულ სექტანტთა ჯგუფი გამოდის ქუჩაში, ამტვრევს, ანგრევს, თითხნის ყველაფერს, პარლამენტს ბოქლომებს ადებს, აგინებს ხელისუფლებას, ეკლესიას. მერე ბრუნდებიან შალიკოს „ბუნკერში“ და თხზავენ კომპრომატებს. ავრცელებენ სიცრუის ეპიდემიას, მათი გახსნილი პანდორას ყუთებიდან იფრქვევა უამრავი ბაქტერია მსოფლიოს ყველა კონტინენტის მიმართულებით.



ეტყობა, მათი „ჭაობის ორკესტრის“ ხმა კარგად წვდება ატლანტის ოკეანეს, ჩამოდიან „აღშფოთებულნი“ თუ „შეშფოთებულნი“ და დიდი თევზებივით ყურს უგდებენ ამ მუსიკას. ეტყობა, მათ სულაც არ აინტერესებთ, რომ შენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა გყავდა, ხოლო თამარ მეფემ XII საუკუნეში სიკვდილით დასჯა გააუქმა.

თუმცა ეს მათ კარგად იციან!..

კვლავ პირველსავე სიტყვას მოვალ და ვიტყვი: უმთავრესი თემა და პრობლემა მაინც ერის მორალური სივრცის დაცვა და საზოგადოების ზნეობრივი გადარჩენაა სიტყვიერი პანდემიისგან, პარანოიდული ტელევიზიებისა და ახლად გაჩენილი პარაზიტი ორგანიზაციებისგან.

●

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის კლანური კასტა, რომელიც პლასტებად დაედო ერთმანეთს.

— სახიფათო მკვლელების კლანი (ადამიანთა მსხვერპლშეწირვას რომ ითხოვენ);

— ანტიქრისტე მოგვების სექტა (ეკლესიასა და პატრიარქს მოურიდებლად რომ დევნიან);

— თითქოს კეთილგანწყობილი, მაგრამ უტვინო პინგვინი ადამიანების კლანი;

— დასავლეთს შეფარებული არამზადების კლანი;

— პოლიტიკიდან ჩამოწერილების (შალიკო-ბურჯანაძეები) კლანი;

— რამდენადმე ქმედუნარიანი — ხაზარაძის ტიპის მტაცებელ-მევახშეთა კასტა;

— არასამთავრობოთა ხროვა და კიდევ მრავალი, რომლებიც ერთად და ცალ-ცალკე ებრძვიან საკუთარ ქვეყანას, მის კულტურას, რელიგიას, ტრადიციებს... ხელისუფლებას ასმენენ და ყიდიან ერის ღირსებას...

●

როგორ გაუძლებს ჩვენი საზოგადოება ამდენ შეურაცხყოფას და ცილისწამებას — გამოხატვის ველური თავისუფლებიდან მომდინარე ლექის ნიაღვარს?

ვინ დაიცავს მას აღვირახსნილი ფლუიდური დარტყმებიდან და მაზომბირებელი სფინქსისგან, რომელიც დაჟინებით გვითვალთვალებს...

ვინ უნდა იცავდეს ერს და საზოგადოებას — ხელისუფლება, ეკლესია თუ რომელიმე სხვა ინსტიტუტი? თუ კანონი და კონსტიტუცია?

ვინ დაიცავს საზოგადოებას ზნეობრივი დეპრესიისგან, როდესაც თვით ეკლესიაც კი დაუცველია?

ხუთი ქოფაკი (ბულდოგი) ყოველდღე ფაშისტური ტელევიზიებიდან რომ დაჰყეფს ქვეყანას და დორბლს აფრქვევს, აფურთხებს და შეურაცხყოფს ყოველ ღირსეულ მოქალაქეს (მამულიშვილს) და მათ შორის, უწმიდესსა და უნეტარესსაც კი!

ვინ უნდა შეაჩეროს ესენი — აღვირახსნილი მიკროფონებიანი ტერორისტები, გამოხატვის თავისუფლების ზღვარს გადასული თავხედები, ტაძრების საკურთხეველშიც რომ იჭრებიან?

ვინ უნდა შეაჩეროს?

ალბათ, კანონმა და საზოგადოებამ ერთად! თუკი არ ემორჩილებიან კანონს, მაშინ შეიძლება საზოგადოება იქცეს კანონის აღმსრულებლად. ეს იქნება „მწარე პილპილი“.

ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ: თუ სატელევიზიო „პანდორას ყუთები“ არ დაიკეტა და ლიბერასტთა ჯინი არ ჩაცხრა, სახელმწიფოს აშენება შეუძლებელი იქნება. ხელისუფლება ვერ შეძლებს ქვეყნის გადარჩენას!



●

დასასრულს ბატონი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის საყურადღებოდ გვინდა ვთქვათ:

უცხოეთიდან მოლაპარაკების მხარედ უნდა დადგეს ერის რჩეული საზოგადოება.

უცხოელებს უნდა დაელაპარაკოს საერთო კრება, რჩეული და კითხული ხალხი საქართველოსი — მათი თემებიდან და ისტორიული კუთხეებიდან, ინტელიგენცია აკადემიური და სახელოვნებო კულტურული სივრციდან.

ჩვენ, ქართველი საზოგადოება, არ ვუშვებთ და არ დავუშვებთ სააკაშვილისა და მისი პარტიის მობრუნებას — ეს გამორიცხულია და შეუძლებელია! ეს უნდა იცოდეს ყველამ — შინაურმა და გარეულმაც.

გვერდით დაიყენეთ ადამიანები იდეებით, ეროვნული ცნობიერებით, ნიჭით აღჭურვილი — ასეთი პიროვნებები არ აკლია ჩვენს სამშობლოს.

მოიყვანეთ თემის კაცი, რეგიონის (კუთხის) კაცი, ქალაქის კაცი.

მითის და ეთნოკულტურის, ისტორიის კაცი!

გყავდეთ პარლამენტში უგრეხელიძის ტიპის იურისტი, გნებავთ, პაპუაშვილის ტიპის ხელოვანი, რეჟისორი, მწერალი და ა. შ.

ირაკლი ღარიბაშვილს გადააბარეს ურთულესი მემკვიდრეობა, რომელიც „ოცნებამ“ თვითონვე შექმნა.

ამ მემკვიდრეობის მართვა შეუძლებელია საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე.

თუ სახელმწიფოს არა აქვს ერის, ქვეყნის დაცვის კანონები, უნდა მიიღოს ასეთი კანონები დაუყოვნებლივ!

თუ სახელმწიფო ამ კანონს არ მიიღებს, ვერ შეაჩერებს სატელევიზიო ომს ერის მიმართ, ვირტუალური ძალადობის პანდემიას სახელმწიფოზე, საზოგადოებაზე, ერზე.

კანონების გარეშე ვერ დაიცავს კულტურას და ეკლესიას. სატელევიზიო ჟურნალისტ ბულდოგებს და „პეტუხებს“ არანაირად არ უნდა ჰქონდეთ პატრიარქის შეურაცხყოფის უფლება და შესაძლებლობა; არც ივანიშვილის დევნის და ცილისწამების ნება.

(ფრაგმენტი წერილიდან)

# რუსეთი თუ დაიშლება, საქართველო, როგორც ქრისტიანული სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს – მას მუსულმანური გარემოცვა მთლიანად შთანთქავს

*გვესაუბრება პოლიტიკოსი და უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:*

**— ბატონო დიმიტრი, „ნაც-მოძრაობა“, უკრაინის ხელმძღვანელობა და თავად, დასავლეთიც ერთხმად მოგვიწოდებენ: გამბედაობა გამოვიჩინოთ და რუსეთს შევუტიოთ. რეალურად, რა გზას უნდა დაადგეს საქართველო?**

— უკრაინული პოლიტიკური ელიტის ძირითადი ბირთვი, რომელიც აქ, მეორე ფრონტის გახსნისკენ მოგვიწოდებს, ამ საკითხს დამოუკიდებლად არ წყვეტს. რეალურად, საქმე უკრაინის სახელმწიფო ინტერესების დაცვასთან როდი გვაქვს, არამედ ეს გახლავთ პროცესი, რომლის მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო და პიკს 2022 წელს მიაღწია. დიახ, ეს მაშინ მოხდა, როცა უკრაინაში, საკუთარი საზოგადოების წინააღმდეგ, ერთგვარი მოძრაობა გაჩაღ-







და. უკრაინის ეროვნული ინტერესი საზოგადოების კონსოლიდაცია უნდა ყოფილიყო, თუმცა, ამის ნაცვლად, ქვეყნის შიგნით რვაწლიანი დაუსრულებელი ომი მივიღეთ — ორად გახლეჩილი უკრაინის საზოგადოება ერთმანეთს დაუპირისპირდა. ომი, ფორმალურად, 2015 წელს მინსკის შეთანხმებით შეჩერდა, რეალურად კი, იგი, 2022 წლამდე გაგრძელდა, რამაც 14 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, 400 ბავშვი შეიწირა. მინსკი 2-ის შეთანხმება 2015 წელს დაიდო, რასაც ხელს ორი პრეზიდენტი: მოქმედი — პოროშენკო და ყოფილი — კუჩმა აწერდნენ. ეს უპრეცედენტო შეთანხმება იყო. ეს ხელშეკრულება, პირველ რიგში, შემდეგ მიზანს ემსახურებოდა: უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ესკალაცია გამორიცხული იქნებოდა. შეთანხმებით, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, დაცული იქნებოდა. ამ შემთხვევაში, ყირიმზე არ ვსაუბრობ, რადგან იქ მიმდინარე პროცესები გაცილებით განსხვავებულ ფორმატში განიხილებოდა. ყირიმი, 1954 წელს, ხრუშჩოვის განკარგულებით, უკრაინას გადაეცა. თუმცა, იგი, ჯერ კიდევ 238 წლის წინ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რომელიც ამ უკანასკნელმა თავისი სისხლით და ოფლით თურქი დამპყრობლებისგან გამოიხსნა. რუსეთი თვლიდა, რომ უკრაინას ყირიმზე პრეტენზია არ უნდა განეცხადებინა. სწორედ ამ ტიპის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი 2015 წელს, რამაც 2019 წლამდე — ზელენსკის გაპრეზიდენტებამდე იარსება. დიახ, სწორედ ზელენსკის მოსვლისთანავე, პოლიტიკური მოტივებით, დაიწყო კამპანია მინსკი 2-ის ხელშეკრულების დარღვევის შესახებ. პირველი დარტყმა ზელენსკიმ პრეზიდენტ პოროშენკოს მიაყენა და იგი მოღალატედ გამოაცხადა, რაზეც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება დაიწყო. სწორედ ომის დაწყებამდე, 2022 წლის 24 თებერვლამდე პოროშენკო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა და მის წინააღმდეგ აღმკვეთი ღონისძიებით გათვალისწინებული სასამართლო პროცედურები ხორციელდებოდა. თუმცა, ომმა ყველანი: ზელენსკი, პოროშენკო, იუშჩენკო, კრავჩუკი ერთიანი, ორკეს-



ტრირებული დასავლეთის ქვეშ გააერთიანა. მანამდე, ზელენსკი პოროშენკოს მტრად აცხადებდა. ისმის კითხვა: რატომ? — იმიტომ, რომ დასავლეთის ინტერესებში, ამ ომის გაყინვა, არ შედიოდა. ამასთან დაკავშირებით არესტოვიჩი ორი წლის წინ გადაღებულ ერთ-ერთ ვიდეოში მკაფიოდ ამბობს: რუსეთთან ომი გარდაუვალია. უკრაინა ნატოში შესვლას მხოლოდ ამ ომის დამთავრების შემდეგ შეძლებს.

**— რას ეფუძნებოდა მსგავსი განცხადება, რას გულისხმობდა არესტოვიჩი ნატოში ინტეგრაციაზე საუბრისას?**

— ეს შემდეგნაირად შეიძლება ავხსნათ: უკრაინა გაეროს მიერ 1991 წელს აღიარებული ტერიტორიებით, უკვე, ვეღარ შევიდოდა ნატოში, ვინაიდან რუსეთს ყირიმთან, ასევე, ლუგანსკისა და დონეცკის მოსახლეობის დაცვის კუთხით, თავისი ისტორიული ინტერესები გააჩნდა. რუსეთს პრეტენზიები ჰქონდა იმ კუთხითაც, რომ უკრაინამ რუსულ ენას ომი გამოუცხადა. მას სურდა, უკრაინულ სკოლებში რუსული ენის სწავლება, საერთოდ, გაეუქმებინა.

**— ამ მიმართულებით, რუსეთის მოთხოვნა, რამდენად სამართლიანია?**

— უკრაინის მოსახლეობა 45 მილიონს შეადგენს. იგი, სამ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი — აღმოსავლეთი, ცენტრალური და დასავლეთი. ცენტრალური და აღმოსავლეთ უკრაინა, ფაქტობრივად, რუსულენოვანია. მოგეხსენებათ, ხარკოვი, თავის დროზე, რუსეთის იმპერიის მესამე ქალაქი გახლდათ. ასევე, ლუგანსკი, დონეცკი, ხერსონი, ნიკოლაევი, ბერდიანსკი, მარიუპოლი და ა.შ., სრულად რუსულენოვანი ქალაქებია. ამ ფონზე რას ნიშნავდა უკრაინის ამბიცია და პოლიტიკური ამოცანა — რუსული ენის სწავლება სკოლებიდან, საერთოდ, ამოეღოთ?! უკრაინის სურვილი: ერთადერთ სახელმწიფო ენად უკრაინული გამხდარიყო მაშინ, როცა ამ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი მშობლიურ ენად რუსულს თვლის, უტოპია გახლდათ, რაც აღმოსავლეთ სლავების ერთმანეთთან წაკიდებისკენ იყო მიმართული. ეს არის მყარი მტკიცებულება იმისა, რომ გზა რომელსაც 2019 წლიდან ზელენსკის ხელისუფლება დაადგა უკრაინის ტერიტორიაზე, გარდაუვლად, ძალიან დიდი კონფლიქტის პროვოცირებას გულისხმობდა, რაშიც აუცილებლად უნდა ჩართულიყო დათვი რუსეთის სახით. ანუ,



დათვი უნდა გამოეყვანათ მძინარე მდგომარეობიდან, გაეღიზიანებინათ, გაეცოფებინათ და შესაბამისად, დაწყებულიყო პროცესი რომელიც გულისხმობდა ომს არა უკრაინასა და რუსეთს შორის, არამედ გლობალურ დასავლეთსა და რუსეთს შორის, უკრაინის ტერიტორიაზე. აღნიშნული ჩანაფიქრი სრულ მოქმედებაშია. დასავლეთმა, ამის შემდგომ, სამხედრო პროგრამა განავითარა — ნატოს წევრმა და დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებმა უკრაინის სამხედრო ტექნიკით მომარაგება დაიწყეს. აშშ-მ მეორე მსოფლიო ომის ტაქტიკა გამოიყენა და ლენდ-ლიზის კანონი მიიღო. ეს, ფაქტობრივად, გახლავთ იჯარა გამოსყიდვით. დიახ, ეს არ არის საჩუქარი, არამედ მრავალმილიარდიანი სამხედრო დახმარების პროგრამა, რაც გულისხმობს იმ სახსრების ვალად გადაცემას, რაც დახმარების მიმღებმა ქვეყანამ ათწლეულების მანძილზე შესაბამისი დივიდენდებით უნდა გადაიხადოს.

როგორც მოგახსენეთ: 2015 წლის მინსკი 2-ის ხელშეკრულების ჩაშლის ინსპირატორი დასავლეთი გახლდათ, მან, უბრალოდ, ზელენსკი გამოიყენა. ვიმეორებ: ომის გარანტირებული პროვოკაციის მიზეზი უკრაინის ტერიტორიული ერთეულებიდან რუსული ენის სწავლების ამოღება გახდა. რუსეთს ომი რომც არ დაეწყო, ქვეყნის შიგნით, დიდი სამოქალაქო დაპირისპირება მოხდებოდა. ასეც, არის — ლუგანსკისა და დონეცკის მოსახლეობა აჯანყდა. ეს გახლდათ ის წითელი ხაზი, რომლის დარღვევის შემთხვევაში სპეც.ოპერაცია დაიწყებოდა. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა ამ პროცესს ომი არ დაარქვა. მას მობილიზაცია არ გამოუცხადებია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ომი არც უკრაინას გამოუცხადებია.

მოგეხსენებათ, რუსეთი ამ ომში დასამარცხებლად არ წასულა. ანუ, ერთი პროცენტითაც კი გამორიცხულია, ვიფიქროთ, რომ რუსეთი დამარცხებას გეგმავს, ერთი მარტივი მიზეზის გამო: თუკი გარდამტეხი უპირატესობა დასავლეთის მხარეს იქნება, რუსეთი იძულებული გახდება შესაბამისი ზომები მიიღოს და ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს. ეს სტრატეგიული ბირთვული იარაღი არ არის. ტაქტიკური ბირთვული იარაღი, აქამდე, ჯერ არ გამოყენებულა. სწორედ ეს არის ნეიტრალური ატომი, რომლის შესახებ 70-იან წლებში ბევრი იწერებოდა. მისი აფეთქების შედეგად, ცოცხალი ძალა ნადგურდება. იმ შემთხვევაში თუ დასავლეთი, უკრაინის მიმართულებით, სამხედრო ექსპანსიას და გამალებულ შეიარაღებას გააგრძელებს, სწორედ ამ ფაქტის წინაშე დავდგებით, რაც უპრეცედენტო ტემპებს შეიძენს. ეს ლენდ-ლიზის პროგრამითაც დამტკიცდა. დიახ, ყოველივე იმიტომ კეთდება, რომ ომი რაც შეიძლება გაიწელოს, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეები და უკრაინული ინტერესები ეწირებიან. ახლახან, ირლანდიის პარლამენტში გაჟღერდა, რომ უკრაინის შეიარაღებით ზიანდება მხოლოდ უკრაინელი ხალხი და სახელმწიფოს ინტერესები ვინაიდან, რუსეთის სამხედრო მანქანა დაუძლეველი ძალა. თუნდაც, მისი დაძლევის შემთხვევაში, ეს შეიძლება ბირთვული დაპირის-





პირებით დამთავრდეს, რითაც კაცობრიობა წააგებსო. აი, ასეთ სად აზრს ვისმენთ, უკვე, მსოფლიოში, თუმცა ეს რამდენად შეაზრკოლებს გლობალურ დასავლეთს, ცალკე საკითხია. ფაქტი ერთია, ის რაც დღეს უკრაინაში ხდება, დასავლეთს სურს, იგივე, იხილოს კავკასიაშიც, ბელორუსშიც, ყაზახეთშიც.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— შემთხვევითი არ გახლავთ, რომ უკრაინის ომამდე, ავღანეთში ხელისუფლება თალიბებს გადაეცა და ამერიკული არმია, იქიდან, გავიდა. ასევე, ავღანეთიდან მათი გასვლის შემდეგ, ყაზახეთში ინსპირირებული, მხარდაჭერილი სოციალური აფეთქება დაიწყო, რომელიც „ვარდების რევოლუციის" სცენარით წარიმართა და რომ არა ოდეკაბეს გაერთიანებული ძალისხმევა, დღეს, მთელი ყაზახეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი დაიწყებოდა. მეტიც, არც ის გახლავთ შემთხვევითი, რომ 2 ოქტომბერს საქართველოში, სპეც.ოპერაციის ფარგლებში, დასავლეთმა სააკაშვილი შემოგზავნა, რათა მას ქვეყანაში გარდაუვალი დესტაბილიზაცია დაეწყო. გაუთვალისწინებლად არც ის ხდება, რომ არესტოვიჩი, ზელენსკი და კოლექტიური არახამიები ანუ, აქედან გაქცეული ქართველი დამნაშავე პირები, დღეს, უკრაინის ხელისუფლებას აფარებენ თავს და ღიად აცხადებენ: სააკაშვილს თავის მისია რომ განეხორციელებინა, დღეს, საქართველო უკრაინის ერთგული სამხედრო პარტნიორი იქნებოდა და მასთან ერთად, აქ, მეორე ფრონტს გახსნიდაო.

ალბათ, არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით: არც ის არის შემთხვევითი, რომ ტიხანოვსკაია ბელორუსის პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო. დასავლეთი რამდენიმე თვე ამტკიცებდა: ტიხანოვსკაია ბელორუსის ლეგიტიმური პრეზიდენტიაო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, არც ბელორუსში, არც მოლდავაში, არც საქართველოში, არც ყაზახეთში არ დაწყებულა პროცესები, რაც დასავლეთისთვის ნანატრ მეორე ფრონტის გახსნას გულისხმობს. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია საქართველოში მიმდინარე პროცესები. დღეს, რეცურად, ასეთი მიცემულობაა: ე.წ. პოლიტიკურ ოპოზიციას — „ნაცმოძრაობას" და მისგან გამონადენ 14 პოლიტ.პარტიას, აშშ და ევროკავშირი მხარს უჭერს. შევახსენებთ, რომ ამ პარტიებმა კარლ ჰარცელს და კელი დეგნანს გეო-მემორანდუმზე ხელი მოუწერეს. დიახ, მათ ზურგი აქციეს საკუთარ მოსახლეობას და მონური მორჩილებით დასავლეთს ერთგულება აღუთქვეს.

მტერს უნდა საქართველო სამიზნეში ამოიღოს და ხელისუფლების იძულებით შეცვლის თვალსაზრისით, სხვა ტიპის ექსპანსია განახორციელოს. „ნაცმოძრაობა" და მისი რეინკარნირებული ნაწილი უკრაინაში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. მაგალითად: გია ლორთქიფანიძე კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილეა. ასევე, წამყვანი პოსტები უჭირავთ: კვიტაშვილს, ადეიშვილს, არახამიას, საყვარელიძეს და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ „ნაცმოძრაობას" და ზელენსკის ხელმძღვანელობას ერთი პატრონი ჰყავთ. დიახ, ისინი ერთ გეო-პოლიტიკურ ოჯახს წარმოადგენენ. მივადექით მთავარ საკითხს — ისინი იბრძვიან, რათა სწრაფად შეცვალონ საქართველოს ხელისუფლება. ამიტომ, მათ ჩათვალეს, რომ ივანიშვილი, ამ შემთხვევაში, მთავარი პრობლემაა, რომლის ჩამოშორების შემთხვევაში, ხელისუფლება ადვილად ჩამოიშლება. ამიტომ, გადაწყვიტეს ბიძინა ივანიშვილზე არნახული ზეწოლა მოახდინონ. ყოველივეს მისი მატერიალური აქტივების დაყადაღებით ახორციელებენ, რასაც ბოლო დროს ადგილი აქვს. თუ ხელისუფლება ამ კრიზისებს გაუძლებს, ჩვენ, არჩევნების წინ, სრულიად ახალ რეალობას მივიღებთ. 2024 წლამდე საკმაო დროა, რათა დენაციფიკაციის პროცესი საქართველოშიც დაიწყოს. რკინის, სამართლიანი ხელი თუ გაერეოდა, „ნაცმოძრაობას" რომელიც ისედაც მილევად რეჟიმშია, მხარდამჭერი, საერთოდ, აღარ დარჩება და მომავალ პარლამენტში ადგილს დაიკავებს არა „ნაცმოძრაობა" რომელიც მუდმივად დესტაბილიზაციის მომხრეა, არამედ კონსერვატიული, ეროვნული ძალები, რომლებიც ქვეყანას სწორი განვითარების გზაზე დააყენებენ.

**— ბატონო დიმა, საუბრობენ, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევით, საქართველოს ემუქრება. როგორია, რეალობა?**

— საქმე ისაა, რომ რუსეთის დაშლის თეორიული ასპექტი რომ განვიხილოთ, საქართველო, მთლიანად, მუსულმანური ქვეყნების ალყაში ექცევა. ამ შემთხვევაში, საქართველო როგორც სახელმწიფო, ისტორიულად თავის არსებობას შეწყვეტს. არ არსებობს ფორმალური საფუძველიც კი იმისა, რომ რუსეთის დაშლის შემთხვევაში, საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობა მიეცეს. მოგეხსენებათ, რომ თურქეთი თავის გეო-პოლიტიკას ახორციელებს. შემთხვევითი არ არის, რომ რამდენიმე დღის წინ, თურქეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები ბილიარდს ერთად თამაშობდნენ და საერთო ღირებულებებზე დეკლარირებულ განცხადებებს ღიად აკეთებდნენ. არც ის არის შემთხვევითი, რომ თურქეთ-აზერბაიჯანის ერთობა ერთი ერის ორ სახელმწიფოდ არსებობას გულისხმობს. მეტიც, შემთხვევითი არც ის არის, რომ ყაზახეთში უკვე აღარ არის რუსული ალფავიტით დამწერლობა და იგი მთლიანად თურქულ ყაიდაზეა გადასული. ასევე, შემთხვევითი არ არის, რომ შეიქმნა თურქულენოვან სახელმწიფოთა ალიანსი. ამას მხარს უჭერს ანგლო-საქსური გეო-პოლიტიკა, რომელიც იმ იდეების მთავარი გენერატორია, რომელიც რუსეთის დაშლისკენ არის მიმართული. თურქეთი შემთხვევით როდი ვახსენე — რუსეთის დაშლის პირობებში, მას მთელ ჩრდილოეთ-კავკასიაზე — ადიღეელებსა და ვაინახებზე თვალი უჭირავს. რა აერთიანებს ამ ორ ხალხს? — რელიგია. ისინი სუნიტები არიან და ისტორიულად, ყოველთვის, ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს წარმოადგენდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ შამილის აჯანყებამდე, საქართველო ჯერ კიდევ ინტენსიურად განიცდიდა ლეკიანობის მასხვრალ ხელს. ჯერ კიდევ 1853 წელს, ლეკებმა დავით გარეჯის მონასტერში ექვსი ბერი მოკლეს. თუ რუსეთი საბჭოთა კავშირივით დაიშალა და ისლამურმა სამყარომ თურქულენოვანი სამყაროსგან მძლავრი გეო-პოლიტიკური მხარდაჭერა მიიღო, ეს ნიშნავს, რომ მთელი ჩრდილოეთ-კავკასია, ალტაის მხარე, რომელიც თურქული წარმოშობის ტომებით არის დასახლებული, სრულად აღმოჩნდება ამ ინტერესთა სფეროში და ამ შემთხვევაში, მთლიანად მარყუჟში მოექცევა ორი ქრისტიანული სახელმწიფო — საქართველო და სომხეთი. ვინ იქნება საქართველოსთვის გარანტიების მიმცემი იმ შემთხვევაში თუკი თურქული ექსპანსია განხორციელდება და ჩვენ, მისი მსხვერპლი აღმოვჩნდებით?! თურქეთი უკვე დიდი ხანია ემზადება ასეთი კულტურული, რელიგიური, ეკონომიკური ექსპანსიისთვის. ამის დადასტურებაა აჭარაში 4 მილიარდამდე განხორციელებული ინვესტიცია. ზოგს ჰგონია, რომ რუსეთის დაშლით ტერიტორიულ მთლიანობას აღვიდგენთ. რეალურად კი, შეიძლება პირიქით მოხდეს — მისი დაშლით ჩვენთვის გეო-პოლიტიკური კატასტროფა აღმოცენდეს. მეტიც, საერთოდ, სახელმწიფოებრიობის არსებობაც კი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. საქმე შემდეგშია: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 1/5-ს ვერ ვაკონტროლებთ, იგი, მაინც, გეო-პოლიტიკური ინტერესების ჭიდილის თვალსაზრისით, ბალანსის ერთ-ერთი მხარეა. მეორე მხარე გახლავთ თურქული, ასევე, ირანული ინტერესები, რაც თურქეთისგან რადიკალურად განსხვავდება. ირანი გახლავთ შიიტური, ხოლო თურქეთი — სუნიტური. ამ ჭიდილში რუსეთის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ფონზე, 3+3 ფორმატში ჩვენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია. თუ რუსეთი დაიშლება, ეს ბალანსი მთლიანად მოირღვევა და ამ შემთხვევაში, თურქეთის რელიგიური და პოლიტიკური ექსპანსია პირდაპირ სამხედროში გადაიზრდება. თურქეთი სადამდეც შეძლებს, იქამდე ეცდება თავის ინტერესები გაატაროს. რამდენად გამოიყენებს თურქეთი, ამ პროცესში, აზერბაიჯანს, ეს კიდევ ცალკე საკითხია. ვფიქრობ, აზერბაიჯანი როგორც თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი, საქართველოსთან მეგობრობას დაივიწყებს. მე-11 საუკუნიდან მე-20 საუკუნემდე, საქართველოსა და თურქეთს შორის არსებობდა მუდმივი ომები და კონფრონტაცია. საქართველოს, ისტორიულ მიწებთან დაკავშირებით, გარკვეული პრეტენზიები დღესაც გააჩნია. ერდოღანს აქვს ამბიციები ისტორიაში შევიდეს არანკლებ ფიგურად, ვიდრე ათა-თურქი იყო. რუსეთის არარსებობის პირობებში კი, ეს პროცესი ადვილად განხორციელდება. მით უმეტეს, რომ ჩერქეზები რომლებიც დღეს, მართვის პროცესში, თურქეთის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ და ასევე, მუჰაჯირები, უბრალოდ, შავი ზღვის პირეთით აფხაზეთში, დიადი ჩერქეზეთის რესპუბლიკის აღდგენას მოინდომებენ, რაზეც სერიოზული ლაპარაკი მიდის. აღარაფერს ვამბობ ვაინახების პოზიციაზე, რომელიც დაღესტანთან ერთად, შეიძლება, პირდაპირ, საქართველოს აღმოსავლეთს დაემუქროს. ეს ისტორიული პროცესებია, რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარშიც აქტუალური იყო. ასე, რომ რუსეთის დაშლა, საქართველოსთვის, შეიძლება გეო-პოლიტიკური კატასტროფა აღმოჩნდეს. ამიტომ, ქართველები ნუ ვიჩქარებთ და ერთმანეთს განაჩენს ნუ გამოვუტანთ, არამედ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებიდან გამოვიდეთ.









**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველოს მოღალატეა ყველა, ვინც ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე მოაწერა ხელი



*გვესაუბრება*
*მანჩო გიორგობიანი*

**— ქალბატონო მანჩო, თქვენ ისე დგახართ ქვეყნის სადარაჯოზე, როგორც დაუღალავი მებრძოლი ჯარისკაცი. სამწუხარო ამბავია, რომ ნაცმხარდამჭერი ქალბატონები იმ კაცის სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან, რომელიც სამართლიან პატიმრობას ვერ უძლებს. ამასწინათ ხათუნა ოჩიაურის კამათს ვუსმინე ქალბატონ ნელი კობიაშვილთან და მართლაც მძიმე განწყობილება დამრჩა — ე.წ ოპოზიციის მხარდამჭერებს ქვეყანა, მაპატიეთ, ფეხებზე ხომ არ ჰკიდიათ?**

— ოჩიაური, უკაცრავად და, ვის დაჰკარგვია, როდესაც აშკარად ვხედავთ ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსისგან თუ ექსპერტისგან საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის სურვილს და ამაში მათ ნაცხლისტური სექტა და „ომის პარტია“ აქტიურად ეხმარება.

ეს უნამუსოები უკადრებელს კადრულობენ, მართლაც დიდ ქველმოქმედზე ბიძინა ივანიშვილზე ათასგვარ სისაძაგლეს იგონებენ და ამით ცდილობენ, დასავლეთმა ბატონი ბიძინას ანგარიშებს სანქციები დაუწესოს. ამ უსაფუძვლო ბრალდებებით ესენი არა მხოლოდ თავად ივანიშვილს, არამედ ჩვენ, საქართველოს მთელ მოსახლეობას გვაყენებენ შეურაცხყოფას.

ის თუ სიმართლეა, რომ, თითქოს რაღაც პეტიციას ამზადებენ და ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაკისრებას სთხოვენ დასავლეთს, ამაზე ვინც ხელი მოაწერა, ყველას სახელი და გვარი უნდა გამოიფინოს, როგორც სამშობლოს მოღალატეების. ვინც სიხარულის ყიჟინას მართავს ბიძინა ივანიშვილს სანქციები დაუწესეს თუ დაუწესებენო, ისინი არიან პავლიკ მოროზოვების „სბროდი“, საქართველოს მტრები და უსაზიზღრესი ხალხი. ამ საქციელს არავის აპატიებს ხალხი.

ღმერთია მოწამე, მე ნამდვილად არასდროს არაფერი მიმიღია ივანიშვილისგან და არც ჩვენი ოჯახის ბიზნესები იკვეთება მის ინტერესებთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სამართლიანად გაბრაზდებოდა ჩემსავით.

ეს უნამუსოები, შურით და ბოღმით თვალდაბნელებულები, მხოლოდ საკუთარი ცხვირის წინ რომ იყურებიან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი ასეული მილიონის გადარიცხვა შეუჩერდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, შეჩერდება წყალტუბოს აღმშენებლობა, აბასთუმნის, ქუთაისის მილიარდიანი უნივერსიტეტის მშენებლობა, ქართულ რაგბს და ფეხბურთს შეუჩერდება დაფინანსება, შეწყდება ინფრასტრუქტურული მშენებლობები მთელი საქართველოს მასშტაბით, გაჩერდება სოფლის მეურნეობის განვითარების დაფინანსების მილიარდიანი ფონდი, შეწყდება ქვეყნის განვითარების ფონდის პროექტების ფუნქციონირება და უამრავი რამ, რაზეც ასიათასობით ჩვენი თანამემამულის კეთილდღეობაა დამოკიდებული. ამას არ ფიქრობენ? ეს, უკაცრავად და, თქვენი შენიშვნის არ იყოს, ფეხებზე ჰკიდიათ?!

დღეს საქართველოს ძალიან უჭირს, უკვე აშკარა ზეწოლას ახორციელებენ, რომ ომში ჩაგვითრიონ.

ჩემი აზრით, ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ კიდევ ერთი ომით საქართველოს ყოფნა-არყოფნა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. არ დაგვავიწყდეს, რომ, სამწუხაროდ, 3 მილიონი ვართ და არა უკრაინასავით 45 მილიონი. არც იმ ქვეყნებივით მრავალრიცხოვანი ერი ვართ, რომლებსაც ომის გაგრძელება სურთ.

**— ომით მსოფლიოს ბნელი ძალები ფინანსურად ითბობენ ხელს, როგორც ჩანს, საქართველოშიც არიან ომის მოსურნეები...**

— სააკაშვილის რეჟიმმა, 2008 წლის ომის მერე 4,5 მილიარდი მიიღო და სად გააქრეს ეს ფული, კაცმა არ იცის.

უკრაინაშიც იგზავნება მილიარდები და ვნახოთ, რას მოახმარენ. იმედია, სააკაშვილივით ნიფნიფის ქოხებს არ აკადრებენ საკუთარ მოსახლეობას; თუმცა უკრაინაში ამჟამად ჩასული ქველმოქმედებიდან ბევრი საქონლისა თუ ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე გასაყიდად გამოჩენა უკვე მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში და ხმამაღლაც გამოითქვა უკმაყოფილება, რომ ქველმოქმედება უკრაინელ ხალხს უნდა მოხმარდეს და არა ცალკეული პირების გამდიდრებას.

ცნობილი ამბავია, სააკაშვილი და კეზერაშვილი იარაღის გაყიდვით გამდიდრდნენ. ალბათ, ახლაც მაგიტომ შემოძვრა სააკაშვილი საქართველოში, რომ ომი გაეჩაღებინა და კვლავ ხელები მოეთბოთ „ომი ყველაფერს ჩამოწერს“ იმედით.

ვერასდროს წარმოვიდგენ, რომ ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე, ირაკლი კობახიძე, ან სხვები „ქართული ოცნებიდან“, ოდესმე ნაცისტებივით გაგვყიდიან, ან გვიღალატებენ.

ეს ჩემი რწმენაა და ვისაც არ სურს, ნუ დამეთანხმება, ამიტომ ვფიქრობ, რომ ახლა საქართველოსაც, მთავრობასაც და ბიძინა ივანიშვილსაც სჭირდება ხალხის - ჩვენი განსაკუთრებული თანადგომა და მხარდაჭერა. ასე მგონია, ღარიბაშვილი ვერ გატეხეს და ბიძინა ივანიშვილის შანტაჟი ამოიღეს მიზანში.

პირადად მე ვთვლი, რომ ვალში ვარ ბიძინა ივანიშვილთან: ის რომ არ გამოჩენილიყო 2011 წელს, გადაგვივლიდა მიჰამაოხრებელი მთელ საქართველოს, მთელ ჩემს სანათესაოს თუ საახლობლოს მეორე წრეზე დაიჭერდა და დამიინვალიდებდა ყველას. სულ ვფიქრობ, რომ მართლაც წკიპზე ვართ გადარჩენილი, ტყუილად წაგლეჯილ უზარმაზარ თანხებზე არც ვდარდობ, როცა იმ წლების საშინელებებს წარმოვიდგენ. ეს იყო ჯოჯოხეთი, კოშმარი. უამრავი ოჯახი გაუბედურდა და ბევრი ახალგაზრდა ვერ მოესწრო დიდ გამარჯვებას 2012 წელს. გადარჩენილებს კარგად გვახსოვს, რომ იმ წლებში მართლაც სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გავიარეთ.

**— მოდით, წარსულზე აღარ ვილაპარაკოთ.**

— დღევანდელობა ნამდვილად საიმედოა. დღეს საქართველო წინ მიდის, ეკონომიკური ვითარება უმჯობესდება, ტურიზმი, ყოველწლიურად 2-3 მილიონი ვიზიტორით იმატებს, 70%-ით მაღლა უკვე ავიდა პანდემიამდე ნიშნულისკენ და იმ უტვინო პოლიტიკით, რასაც „ომის პარტია“ პროვოკატორობს, ბევრი რამე შეიძლება გაფუჭდეს.

საქართველოზე გადის ცნობილი ნავთობსადენიც და გაზსადენიც, ამ მარშრუტს მალე დაემატება კიდევ ერთი „TANAP“-ის გაზსადენი. მას შემდეგ, რაც ჩინეთმა რუსეთში გააუქმა ტრანზიტი, ყველა თავისი სარკინიგზო მარშრუტი ევროპისკენ შეცვალა და სხვა ქვეყნებთან ერთად, მოსალოდნელია, საქართველოშიც გაიაროს ჩინეთის მილიარდობით ღირებულების სავაჭრო ხაზმა. მოსალოდნელია კიდევ სხვა ბევრი სასიკეთო რამ, რაც საქართველოში მშვიდობაზეა მიბმული.

დიდი ეკონომიკური პერსპექტივები ეხსნება საქართველოს. ჩვენ შეიძლება ამ საომარი კონფლიქტის ფონზე ეკონომიკური ჰაბიც კი გავხდეთ.

ომით კი არა, სწორედ ამ გზით შეიძლება აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნება. მარტო სწავლა და მკურნალობა არაა საკმარისი, სეპარატისტული რეგიონების დაბრუნება მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერით არის მოსალოდნელი და შესაძლებელი.

მადლობა ჩვენს ხელისუფლებას, რომ მშვიდობას ინარჩუნებს, თორემ ომის პირობებში ვერც სატრანზიტო დერეფნად გამოვდგებით და ვერც ქვეყნად ვივარგებთ, საერთოდ. დაგვემხობა თავზე ეკონომიკაც და მომავალიც. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ნაცსექტანტების, ამ აშკარა მტრების არაფრისმომცემმა „საბრძოლო ყიჟინამაც“, შეიძლება საქართველო შეაფერხოს, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ომში ჩართვას რომ გვაძალებენ ესაა მთავარი საშიშროება.

როგორც ხედავთ, გვაძალებენ ჩვენი შთამომავლობის, თქვენი შვილების და შვილიშვილების ომისთვის გაწირვას. მაგრამ მერამდენედ უნდა დავღვაროთ სისხლი?! მერამდენედ დავახოცინოთ მტრებს ჩვენი ახალგაზრდები ფიზიკურად და მორალურად?! ისევ ბომბებს შევუშვიროთ თავი და დავბრუნდეთ 90-იანებში?!.

ვინც პეტიციას მოაწერა ხელი, სადაც ითხოვენ ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას, ასევე გამოუცდელ ახალგაზრდებს აქეზებენ ომში ჩართვისკენ, ატარებენ ქვეყნის მთავარი პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო აქციებს, ესენი არიან უნამუსოები და ჩვენს მომავალ თაობას ართმევენ სიცოცხლის უფლებას, უნდათ წაართვან ახალგაზრდობა და მშვიდობიანი ქვეყანა ომის პოლიგონად უქციონ.

მაგ გათახსირებულებისთვის მთელი ქვეყანა ქვების გროვაა, როგორც სააკაშვილი იძახდა სამაჩაბლოს ომის დროს დაკარგულ 150 სოფელზე — ქვების გროვა იყო, რას ნერვიულობთო. ეს უნამუსოები, ისტერიკაში არიან: თუნდაც მარტო თბილისი დარჩეს, ან გინდაც არც იყოს თბილისი, ოღონდ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ და „დირეხტორები” ერქვათ, უკადრებელს იკადრებენ, ყველას და ყველაფერს გაწირავენ ამ ქვეყანაში.

ნაცხლისტები მილიონებს უხდიან უცხოელ ლობისტებს, რომ განსაკუთრებული მონდომებით გვლანძღონ საერთაშორისო არენაზე. იგივეს აკეთებდნენ ვიზალიბერალიზაციის წინაც, პავლიკ მოროზოვივით წერილებს უგზავნიდნენ ევროპარლამენტარებს — არ მიიღოთ საქართველო, არ მისცეთ უვიზო რეჟიმი, ღირსები არ არიანო.

სააკაშვილი თავად იჭრიდა თავს ყველგან, სადაც მიდიოდა. თვითონ აკეთა ყველაფერი რუსეთის სასარგებლოდ. პირადად მე ვაცხადებ: ლეშიჭამიების „ომის პარტია“ ვერ მიაღწევს მიზანს. მაგათი ნაომარი არ გაიშვას, ომობანას კომპიუტერში კი თამაშობენ, მაგრამ ნამდვილ ომში ფაღარათს ვერ შეიკავებენ.

მე მომავლის იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლების იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, საქართველო არის იმის ღირსი, რომ მშვიდობიანად გააგრძელოს თავისი ისტორიული მისია 21-ე საუკუნის შარაგზაზე.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18









# სიკვდილის ბრიგადები დღესაც არსებობს და მიხეილ სააკაშვილს ლიკვიდაციის საფრთხე ყველაზე მეტად თავისი გარემოცვიდან ემუქრება

***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ.პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, კელი დეგნანმა ხელისუფლებას ირიბად მოუწოდა: სააკაშვილი ციხიდან გაათავისუფლეთო. რას ნიშნავს ყოველივე?**

— დავიწყოთ იმით, რომ თავისთავად, დამოუკიდებელი ქვეყნის შიდა პოლიტიკაში უხეში ჩარევა, დემოკრატიული საზოგა-



დოებისთვის მიუღებელია. რაც მთავარია, თავად, არცერთი თავმოყვარე სახელმწიფოც არ დაუშვებს იმას, რომ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პროცესების მართვა, გარედან ვიღაცის კარნახით მოხდეს. კელი დეგნანმა მკაფიოდ უნდა განმარტოს: ვისი პარტნიორია ამერიკა — ქართული სახელმწიფოს თუ „ნაცმოძრაობის“ და მისი ბელადის სააკშვილის.

**— სააკაშვილს გათავისუფლებას ოპოზიცია, ექიმები, ომბუდსმენიც ითხოვს. მათ რა მიზანი ამოძრავებთ?**

— მედალს ორი მხარე აქვს: ერთი მხრივ, რა თქმა უნდა, სააკაშვილს პატიმრობა არ სურს. მისთვის გისოსებს მიღმა, ხელბორკილებით ყოფნა კატასტროფაა. თუმცა, გარეთ მყოფი მისი გარემოცვა, აბსოლუტურად, სხვა მიზნებისთვის იბრძვის. კერძოდ, მათ ურჩევნიათ სააკაშვილი ცოცხალი არ იყოს. მათ კარგად იციან მიშას მხდალი, არასტაბილური ხასიათი და შიშობენ: მან, პირი არ გააღოს და იმ შავ-ბნელ საქმეებზე არ ისაუბროს, რასაც მიშას დავალებით ასრულებდნენ. კიევში ძალიან აქტიურად ფიგურირებს გია ლორთქიფანიძის პერსონა. ვინ არის ეს პიროვნება? — ის გახლდათ სააკაშვილის მარჯვენა ხელი როგორც აქ, ასევე, უკრაინაში. იგი, იგორ გიორგაძის პერიოდში მაღალ თანამდებობას იკავებდა. ამ პერიოდს რა უბედურებებიც უკავშირდება, კარგად მოგეხსენებათ. იქნებ, სწორედ ეს პიროვნებაა იმ დროინდელ სიავესთან კავშირში?! დღეს, ლორთქიფანიძე კიევშია, სადაც „ნაციონალები“ წარა-მარა ჩარბიან და იქედან, გარკვეულ მითითებებს ღებულობენ, რასაც შემდგომ, აქ, ახორციელებენ. დიახ, იქ, ღებულობენ რეკომენდაციებს, დავალებებს, რაც საქართველოში უნდა აღასრულონ. მოგეხსენებათ, სააკაშვილის შავ-ბნელი გარემოცვა თავისუფალია და ბუნებრივია, მათ ჯერ კიდევ აქვთ შესაძლებლობა — თვალთვალის, მიყურადების, ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გასაჯაროების, კომპრომატების შეგროვების, რათა მერე, მა-



თით მანიპულირება მოახდინონ. სააკაშვილი პირს თუ გააღებს ყველაფერს ნათელი მოეფინება. კერძოდ, იმას რაც ხდებოდა ციხეებში — ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობა, გაუპატიურებები, მკვლელობები და ა.შ. ამიტომ, **„ნაცმოძრაობის“ ინტერესებშია მიშა ან გარეთ გამოიყვანონ, ან საერთოდ, ცოცხალი არ იყოს**. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას დიდი ყურადღება მართებს, რათა მიშას გარემოცვამ მისი მოკვლა არ სცადოს. მათ თუ დაინახეს, რომ სააკაშვილის დახსნა ვერ ხერხდება, გამორიცხული არ არის, სწორედ ამ მკვლელების გუნდმა მისი ლიკვიდაცია სცადონ. ადრე, ირაკლი კაკაბაძე ამბობდა: მათ სიკვდილის ბრიგადები აქვთ შექმნილიო. დიახ, ეს ბრიგადები დღესაც არსებობენ და თუ სააკაშვილის ციხიდან დახსნის იმედი გადაეწურებათ, შეიძლება მას იქ, მიაკითხონ. ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, სააკაშვილის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს და იგი, მისი ბნელი გარემოცვისგან დაიცვას. როცა მიშა გააცნობიერებს, რომ სასჯელის მოხდა მოუწევს და წერილები, მოთხოვნები: მიშა გამოუშვითო, აღარ მუშაობს, ალაპარაკდება და ყველაფერს იტყვის. ამიტომ, ვიმეორებ, მას ლიკვიდაციის საფრთხე სწორედ თავის გარემოცვისგან ემუქრება. რაც შეეხება, მის ავადმყოფობას. ბუნებრივია, სააკაშვილს თავისუფლებაზე ყოფნა ურჩევნია და არ უნდა აღიარებითი ჩვენების მიცემა, რადგან ასე მოუწევს ისაუბროს იმ მკვლელობებზე, მიყურადებებზე, ასევე, მოუწევს თავისი მმართველობის პერიოდში არსებული, რუსული პოლიტიკის გაშიშვლება, რაც არ აწყობს. ამიტომ, ცდილობს მისი ჯანმრთელობა შეირყეს. მინდა გითხრათ, რომ დღეს, სააკაშვილის სიცოცხლე ყველაზე მეტად დაცული სწორედ ციხეშია. სააკაშვილი ფიქრობს, რომ მას გარედან ვერ გაწირავენ, რადგან მისი გუნდისთვის ჯერ კიდევ საჭიროა. ამიტომ, ცდილობს ამ ბოროტების მანქანას ხელი შეუწყოს, რათა იგი ციხიდან გაიყვანონ. კაგებეშნიკური ქსელი, რომელიც სააკაშვილის დროს არსებობდა, მოიცავდა ჟურნალისტებსაც, უფლებადამცველებსაც, პროკურატურას, პოლიციას და ა.შ. ეს რუსული კაგებეშნიკური ქსელი დღესაც მუშაობს. შედეგად, ხან ექიმებს ალაპარაკებენ თავის ჭკუაზე, ხან ომბუცმენს, რომელიც ქართველი ხალხის თვალში, აბსოლუტურად, დისკრედიტირებულია და ხან — ვის. ავიღოთ, გიორგი მარგველაშვილი, რომელიც პიროვნულად ნულია. ივანიშვილმა იგი პრეზიდენტად გახადა, რასაც თავის საუკეთესო სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა. დღეს, მიშამ ყველა თავის ქსელში გახლართა, იგივე, გახარია, კვირიკაშვილი და ეს არარაობა მარგველაშვილიც, რომელიც ახლა, ივანიშვილის წინააღმდეგ ლაპარაკობს. ეს მდგომარეობა ცხადჰყოფს, რომ ის უბედურებები ერთი ან ორი ადამიანის გადაწყვეტილებით არ ხდებოდა, არამედ ამას ორგანიზებული, სერიოზული კრიმინალური სახე ჰქონდა. სწორედ ამიტომ იბრძვიან ნაცები ასე თავგამოდებით — ევროსაბჭოს თუ თუ სხვა ქვეყნებიდან, ყველას მიშას გათავისუფლებაზე ალაპარაკებენ, რათა საკუთარი თავი გადაირჩინონ, თორემ, თავად სააკაშვილი ნაკლებად ანაღვლებთ. ეს არის პრობლემის ძირითადი არსი.

**— რაც შეეხება ომის თემას, ნაცებთან ერთად, მეორე ფრონტის გახსნას, უკრაინის ხელმძღვანელობა, დასავლეთიც კი ითხოვს. რატომ გვაძალებენ ომს ასე დაჟინებით?**

— დასავლეთის მხრიდან, ეს მართლაც გამაოგნებელია. უკრაინის ხელისუფლების პოზიცია გასაგებია იმიტომ, რომ მის ხელმძღვანელობაში, დღეს, სააკაშვილის ბინძური, კრიმინალური გუნდი ზის. უკრაინის ხელისუფლებისგან, რომელსაც გამოცდილება არ აქვს, ამ ტონალობაში რომ ასაუბრებენ, არ მიკვირს. ნაცებს რაც შეეხებათ, მათი მიზანია ქართული სახელმწიფო ჩამოიშალოს, ხელისუფლება შეიცვალოს და ძალაუფლებაში თავად მოვიდნენ. მერე, ისევ, ქვეყნის ძარცვას, ჭამას დაიწყებენ და რაც ყველაზე მთავარია, მათი შავ-ბნელი საქმეები გაუხსნელი, გამოუძიებელი დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველწუთიერად არსებობს საფრთხე, რომ მათი ნამოქმედარი ზედაპირზე ამოტივტივდება. აქედან გამომდინარე, დღეს მიმდინარეობს ომის პროპაგანდა — საქართველო, ვითომ რუსეთის დასასუსტებლად, ამ პროცესებში ჩაერთოს. ჩვენ, მთელი შემადგენლობით, ბავშვებიანადაც რომ ჩავერთოთ ომში, რუსეთს ვერაფერს დავაკლებთ. დიახ, რუსეთს ჩვენი ომში ჩართულობა პრობლემას ვერ შეუქმნის, მაგრამ სამაგიეროდ, საქართველო განადგურდება — ქვეყანა დაიქცევა, ხელისუფლება, თავისთავად, ჩამოიშლება და ნაცებიც ძალაუფლებას მარტივად დაეუფლებიან. ქართველი კრიმინალების, სააკაშვილის ბნელი ზეგავლენით, უკრაინელებიც ზუსტად იმას ახმოვანებენ, რასაც ნაცები ღაღადებენ.



**— ამერიკა რუსების სისასტიკით აღშფოთებულია, თუმცა, მანამდე, ცივილიზებული დასავლეთიც ხომ იგივეს აკეთებდა?**

— ეს უბრალოდ პიარია, თორემ, რუსეთის ქმედებები არავის უკვირს. მთელ მსოფლიოს ამ პიარით კვებავენ. მაგალითად, თურქეთი ქურთებს რომ ბომბავს და იქ, ხალხი იხოცება, ამის შესახებ განცხადებასაც კი არავინ აკეთებს. ქურთი ბავშვი ბავშვი არ არის თუ რა ხდება?! მსოფლიო პიარით იმართება. ჩვენც ამ პროცესში ვართ ჩართულნი, სადაც საინფორმაციო საშუალებები კრიმინალურ ძალებს აქვთ მონოპოლიზებული.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# ინგა, შავნოდარა და ადოლფის ავი სიზმრები

## პოლიტიკური ნოველა

ადოლფი შეშფოთებული ჩანდა, იდაყვებით ვეებერთელა შავ მაგიდას დაყრდნობოდა და მარცხენა ხელის ნეკა თითი ცხვირში შეეყო, რას ეძებდა, არავინ იცის.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

- ვინ ოხერია? - წამოიჭალყვა ადოლფი.

- იოზეფი ვარ, ჩემო ფიურერო, - გაისმა ხრინწიანი კნავილი, გეგონება კატა შემოაწყვიტესო მაღალი ძაბვის ბოძზე.

- იოსებ, უკვე მოხვედი, შე შეჩვენებულო?! - შეძვრა მაგიდის ქვეშ ადოლფი.

- არა, ჩემო ფიურერო, იოსები კი არა, იოზეფი ვარ, გებელსი, სახალხო განათლებისა და პროპაგანდის რაიხმინისტრი, - ისევ გაისმა ხრინწიანი ხმა კარის ჭუჭრუტანაში.







- ხოხ... შემოი, რას დაყუდებულხარ კართან, შე გათახსირებულო, მეგონა იოსებ ჯუღაშვილი მოვიდა! - გამოძვრა ხვნეშით მაგიდის ქვემოდან ადოლფი.

- ხოხ, რამდენჯერ უნდა შეგეშალო იოსებში, ჩემო ფიურერო? - თქვა მორიდებით იოზეფმა და მორყეულ სკამზე ჩამოჯდა.

- ყოველღამ მელანდება ჯუღაშვილი, ასე მგონია, ყველგან დაძრწის, ბუნკერშიც კი არ მასვენებს. ძალიან ცუდი წინათგრძნობები მაწუხებს, იოზეფ, ძალიან ცუდი! - დაარტყა მუშტი ადოლფმა მაგიდაზე, ისევ გაიღვიძა მასში დიქტატორმა.

- ეგ არ არის წინათგრძნობა, ეგ მხოლოდ აღქმაა, ნუ დარდობ, დამიჯერე, მე ჯერ ისევ პროპაგანდის რაიხმინისტრი ვარ.

- რომ დაგიჯერე, ამიტომ ვზივარ ბუნკერში, შე ჩათლახო! - შეხტა და შემოტრიალდა ჰაერშივე ფიურერი.

- ჩათლახი? ეს სიტყვა სადღაც მსმენია, ბუნდოვნად მახსოვს.

- მაგ სიტყვას ჯუღაშვილის სამშობლოში ხმარობენ ძალიან ეფექტურად!

- ხოხ, გამახსენდა, ლავრენტი პავლოვიჩმა მომწერა 1942-ში, შენც დიდი ჩათლახი ყოფილხარო.

- ხედავ? მაგას ჯერ კიდევ სამი წლის წინათ უგრძვნია, რა ჩათლახიც იყავი!

- ნუ ლაპარაკობ ეგრე, ჩემო ფიურერო, მაინც ვერ დამაკომპლექსებ, ჩვენ ამ ომს მოვიგებთ, ფაქტობრივად უკვე მოგებულია, კრემლსაც ავიღებთ და მორჩა, სტალინ კაპუტ!

- შენ მეუბნებოდი, მომეცი საინფორმაციო საშუალებები, რადიო, გაზეთები და მთელ სამყაროს ღორების კოლტად გადავაქცევო, სად არის ეს ღორების კოლტი, იოზეფ, სად?!

- დააკვირდი სამყაროს კარგად, ჩემო ფიურერო, განა ის არ არის ღორების კოლტი? - ჩაიცინა ცალყბად გებელსმა.

- ხან ისე სტყუი, კბილებით მინდა შენი დაგლეჯვა, მაგრამ მერე ისეთ ჭეშმარიტებას წამოიღადადებ ხოლმე, გაოგნებული ვრჩები... მართლაც, ბოლო დროს ხშირად ვაკვირდები სამყაროს და იგი ძალიან ჰგავს საღორეს! - ამოიბღავლა ადოლფმა.

წუთით დუმილი ჩამოწვა. ფიურერმა ლელვის ჩირივით შემჭკნარი თავი ჩაჰქინდრა, მისმა ტვინმა წარსულში დაიწყო ტივტივი. რა უნდოდა, აუტკივარი თავი რაზე აიტკივა? ევლო სამხატვრო სტუდიაში, ეწანწალა ქუჩა-ქუჩა და ეხატა პეიზაჟები. არა, ძალიან მაგარია განუზომელი ძალაუფლება, საკაიფოა, როცა მთელი მსოფლიო შენს ფერხთითაა გართხმული, მაგრამ ერთ დღესაც ჩამოგიჯდება სასთუმალთან უფრო ძლიერი ფიურერი, მიქელ-გაბრიელი და გეტყვის, დასრულდა, ძმაო, შენი უფლებამოსილება, წავედითო. არ უნდა ადოლფს დედამიწიდან წასვლა, ჯერ კიდევ უამრავი საქმე დარჩა გასაკეთებელი, ყველაფერს რომ თავი დაანებოს, კაცობრიობაა უმაღლეს რასად გარდასაქმნელი.

- კონკრეტულად რაზედ გამომიძახე, ჩემო ფიურერო? - შეჰკადრა ლოდინით შელონებულმა იოზეფმა ადოლფს.

- ძალიან მაზალო სიზმარი ვნახე წუხელ, - ჩაიდუდღუნა ადოლფმა.

- მითხარი, თუ არ მოგწონს, წყალს გავატანოთ.

- 21-ე საუკუნე ვნახე... არც კი ვიცი, როგორ უნდა მოგიყვე, მე ყველა სიზმარი გაზვიადებული მგონია.

- კვამლი უცეცხლოდ მაინც არ ჩნდება, ჩემო ფიურერო.

- უძლეველი გერმანიის კანცლერად ქალი ვიხილე, იოზეფ, თან ყოფილი კომკავშირელი!

- ო, არა, ეს დაუჯერებელია! - ამოიღნავლა გებელსმა.

- მეც მაგას ვჩივი... ამიტომაც მიმაჩნია, რომ პრობლემა ჩემშია, - აქვითინდა ადოლფი და თავში მუშტები წაიშინა.

- არ გინდა, ასე ნუ განიცდი, საკითხს მედიკოსებთან ერთად შევისწავლით და შემდეგ ვიმსჯელოთ.

- გერმანია რომ ორად იყო გაყოფილი, ეგ ადრე გითხარი, ძალიან განვიცდიდი, მაგრამ ბოლო დროს სულ გაერთიანებულს ვხედავ. ერთი უცნაურობა დამჩემდა კიდევ, რუსები უკრაინელებს ეჩხუბებიან, ქალაქებს ბომბავენ, მოსახლეობა პოლონეთის მხარეს გარბის. ეს სიზმარი კი არა, ყ...ეობაა, იოზეფ, ყ... ეობა! - ატირდა ისევ ადოლფი.

- გეთანხმები, მართლად ძალიან დიდი ყ...ეობაა! - წამოსცდა იოზეფს და ეგრევე იკბინა ენაზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

- მაშინ მე ვინ გამოვდივარ?! - გაეყინა მწუხარება სახეზე ფიურერს.

- შენ ხარ... აი, როგორც ინგა გრიგოლია იტყვის 21-ეს საუკუნის გარიჟრაჟზე, უძალიანმაგრესი ადამიანი! - შეაპარა გებელსმა.

- არა, თუ ეს სიზმარი ყ..ეობაა, მე რანაირად გამოვდივარ უძალიან... უძძძ... როგორ წარმოთქვი წეღან?

- უუუუუძალიანმაგრესი!

- და ეს გრიგოლია ვინ არის?

- ეგა და ნოდარა მელაძე ჩემი მომავალი მოწაფეები არიან, ოცდამეერთე საუკუნის სიზმრებს მარტო შენ კი არა, მეც ვხედავ, ზოგჯერ ცოტა იქითაც გადავდივარ.

- სად იქით?

- ოცდამეორე საუკუნეში... არ გეწყინოს, ჩემო ფიურერო, მე მხოლოდ პროპაგანდა მაინტერესებს, - შეაპარა ისევ იოზეფმა.

- შენი საქმისა შენ იცი... იცი, კიდევ რა ვნახე სიზმარში? რუსეთი ბომბავდა უკრაინას!

- რა?! - შეხტა იოზეფი.

- რუსეთმა ლამის მიწასთან გაასწორა უკრაინა, წარმოგიდგენია? საბჭოთა კავშირი დაიშალა, მის ადგილზე თექვსმეტი სახელმწიფო გაჩნდა!

- ეგ მართლაც წარმოუდგენელია, ჩემი ღრმა რწმენით, აქ საქმე შეიძლება ილუზორულ კორელაციასთანაც გვქონდეს.

- ეგ რაღა დოზანაა?!

- ეს არის სამყაროს ზედმეტად მოჩვენებითი, ანუ გადამეტებითი აღქმა. ამ დროს ადამიანი ცდილობს, დაადგინოს ის, რაც საერთოდ არ არსებობს. მაპატიე, ჩემო ფიურერო, ცოტა უხეშად გამომივიდა.

- ატრაკებ, იოზეფ! - წამოხტა ადოლფი.

- შეიძლება ვატრაკებ, მაგრამ სიმართლეს ვლაპარაკობ, დიდ ადამიანებს რატომღაც არ გიყვართ პირში სიმართლის თქმა, თქვენ მოგწონთ, როცა გაქებენ. მაპატიე ასეთი პირდაპირობა.

ადოლფი ჩაფიქრდა, იოზეფი თითქოს სიმართლეს ღაღადებდა, მაგრამ ამას ვერ აღიარებდა, მერე მთელ დუნიას მოსდებს, ფიურერმა ჩემი კრიტიკა დუმილით მიიღოვო. ეჰ, რამდენჯერ ურჩიეს, ეს ჩათლახი კაცი თავიდან მოიშორე, დახვრიტე, დაგღუპავსო, მაგრამ ვერ მოიშორა, ვერ შეძლო მისი შორსმჭვრეტელური აზრების გამო.

ტელეფონმა დაიწკარუნა. ადოლფმა ხელი ყურმილისკენ წაიღო, თან იოზეფს შეხედა, თავი აუქნია, რაც იმას ნიშნავდა - დამტოვეო. რაიხმინისტრმა წელი ძლივს აითრია, გასვლა ეზარებოდა, თან აინტერესებდა, ფიურერს ვინ ურეკავდა. ყურმილში მდივნის სასიამოვნო ხმა გაისმა:

- ჰაილ, ჰიტლერ!

- ჰაილ, - ჩაიხვიხვინა ჰიტლერმა.

- ჩემო ფიურერო, ფრაუ ევას უნდა თქვენთან გასაუბრება.

- გამესაუბროს, მეტი რა საქმე აქვს?! - გამოსცრა კბილებში ადოლფმა.

- ადოლფ, დეგვენძრა! - აკვნესდა ფრაუ ბრაუნი.

- რა იყო, ისევ დეგეწვა კარტოფილი?!

- არა, ჩემო სუყველაყავ, ომს ვაგებთ!

- გადიიიიი!

- არ გჯერა, ხომ?!

- იოზეფ, გადი აქედან, შე გათახსირებულო! - დაუყვირა ადოლფმა რაიხმინისტრს და პანჩური ამოსცხო, - ჰო, ევა, რას ამბობდი?

- ომს ვაგებთ, არ გჯერა?!

- რაზე ეყრდნობი, როცა მაგას აცხადებ?!

- ამ წუთას ბერლინის თავზე საბჭოთა ბომბდამშენმა გადაიფრინა!

- შხამი იშოვე?

- დიახ, ვიშოვე.

- ცოტა ხანში შემომიარე, ერთად დავიძინებთ.

- კარგი, ჩემო ფიურერო, დიდი სიამოვნებით, შენთან ერთად ჯოჯოხეთშიც კი წამოვალ.

ადოლფმა თავი ჩაჰკიდა, ჯერ აქვითინდა, შემდეგ კი აღნავლდა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# მიშა ხალხოსანი და გიულ-დედულიანი

როგორც იქნა, გადაათრიეს!

სად გადაათრიეს და კლინიკა „ვივამედში“. სანამ გადაათრევდნენ, „ულტიმატუმები“ ჩამოწერა, თუ ამ პირობებს შემისრულებთ, თანახმა ვიქნებიო. თუ არ შემისრულებთ, თანახმა არ ვიქნები, საკნიდან ფეხსაც არ გავადგამ, ცილებს კვლავაც არ მივიღებ, მოვკვდები და ყველაფერზე პასუხს თქვენ აგებთო... ერთი პრეზიდენტი ხომ მოკალით, მეორე მე ვიქნები, სირცხვილი და თავის მოჭრაო. ვითომ პირველი პრეზიდენტის ბედი აინტერესებს, ვითომ ის ადამიანი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მომხრეებს ავტომატით რომ დასდევდა, საარჩევნო სიაში პირველ ნომრად არ ჩასვა, ვითომ ბუბა კიკაბიძე უმაქნის დეპუტატად არ აქცია.

აფერისტი მაიმუნი!

დიახ, მეგობრებო, სწორად მიხვდით, მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთ, რომლის ორგანიზმშიც თურმე აღარც ალუმინია და აღარც სილა. სავარაუდოდ, აქ საუბარი უნდა იყოს ცილაზე და არა სილაზე ან ქვიშაზე, მაგრამ რაკი სახალხო დამცველ ლომჯარიას მიერ მოქუჩებულმა ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დასვეს და „ჭუტლექსვიზიამაც“ ასე გამოაცხადა, დავიჯეროთ.

გითხარით, სანამ კლინიკა „ვივამედში“ გადაათრევდნენ,



„ულტიმატუმები“ ჩამოწერა:

„ვინაიდან ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დასუსტებულია და შეუთავსებელია სასიცოცხლო მაჩვენებლებთან, თანახმა ვარ კლინიკა "ვივამედში" გადასვლაზე გამოკვლევებისთვის, სამედიცინო მომსახურებისთვის და მკურნალობისთვის შემდეგი პირობებით:

მუდმივი დაშვება ჰქონდეთ ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს პირად ექიმ ნიკა ყიფშიძეს და ასევე, ალტერნატიული ექსპერტიზის წევრებს ცენტრ "ემპათიადან", რაც კანონით განსაზღვრულია;

სამუშაო საათებში დაშვება ჰქონდეთ კანონით განსაზღვრულ პირებს: ადვოკატებს და პარლამენტის წევრებს;

ყოველ გამოკვლევაში, დიაგნოსტიკაში, დანიშნულების დადგენაში და მკურნალობის შემდეგი ეტაპების თუ გამოჯანმრთელების განსაზღვრა მოხდეს პარიტეტული შემადგენლობით, ცენტრ "ემპათიის" ჩართულობით და მათი თანხმობის შემთხვევაში, სახალხო დამცველის კონსილიუმის წევრების ჩართვა; როგორც კი აღნიშნულ საკითხებზე მივიღებ პასუხს, მზად ვარ, დაუყოვნებლივ გადავიდე "ვივამედში".

ნახეთ, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა დასუსტებულიაო. მე კი არ ვარ დასუსტებული, ჯანმრთელობის მდგომარეობააო. ვერ გავიგე, ეს რანაირი ქართულით ლაპარაკობენ?!

ესე იგი, თან დასუსტებულია, თან ვითომ სულს ღაფავს, თან კიდევ ითხოვს, ჩემთან ყველამ უნდა იაროს 24 საათის განმავლობაში, თათბირები მაქვს ჩასატარებელიო. ერთი სხვა პატიმრებმა რა დააშავეს, იმათთან რატომ უნდა იარონ სტუმრებმა? უნამუსოა, ვითმ ავადაა, ძალი და ღონე აქვს გამოცლილი, თან სტუმრიანობა უნდა, შეუფერხებლად უნდა იაროს ყველამო.

სააკაშვილის ასეთმა თავხედობამ ძალზედ გააღიზიანა ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი, მგონი თავისმა მომხრეებმაც კი დაუწყეს გინება. ეს აშკარად ჩანს, რადგან მის ე.წ. მდგომარეობაზე 30 ადამიანზე მეტი აღარ აღშფოთდება ხოლმე. მოკლედ, უარი უთხრეს, აღურიცხავი რაოდენობით ციხეში ხალხს ვერ



შემოვუშვებთ, ბოლო-ბოლო, საპატიმროა, „პრახადნოი დვორი“ ხომ არაო? ეკა ხერხეულიძე ეწვია, დაელაპარაკა, დაარწმუნა, ხალხი ისედაც შემოვა, ეგრე ოფიციალურად რათ გინდა, წადი, დაწექი, დაისვენე, დამშვიდდი, ცოტა ხანს იყუჩე, ძალები მოიკრიბე, მოთმინება იქონიე, ამასობაში რაღაცა იქნებაო. ატყუებენ, ამ საცოდავს... ისევე ატყუებენ, როგორც მაშინ, საქართველოში რომ შემოითრიეს, მთელი საქართველო ფეხზე დადგება, დაპატიმრებას ვერ გაგიბედავენ, ტახტრევანზე აგიყვანენ და პრემიერ-მინისტრად დაგაბრძანებენო. ახლა არწმუნებენ, ცოტაც მოითმინე, 200 ათასი კაცი ქუჩაში გამოვა, ეს ხელისუფლება დაემხობა და გვეშველებაო. ხერხეულიძემ მოთხოვნები უკნ წაალებინა, მხოლოდ ერთი დაატოვებინა - დედა მინდა, სუ ჩემთან უნდა იყოსო. ეს დაუკმაყოფილეს, დედა სუ მასთანაა.



საკნიდან სააკაშვილის გადათრევას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა ნაცსაზოგადოებაში. მათი ღრმა რწმენით, თურმე ბიძინა ივანიშვილმა კლინიკა „ვივამედის“ ხელმძღვანელობას დაავალა, პალატებში წინასწარ „ქართული ოცნების“ წევრები დააწვინეთ რათა გიულის და სააკაშვილის წინაპრებს აგინონო. ვინც ნაჯდომია, ყველამ იცის, რომ ამას ჰქვია ე.წ. „შუმოკი“. არადა, ლომჯარიას მოქუჩებული ექიმები წერდნენ თავიანთ ღრმააზროვან „გამოკვლევებულობაში“, სააკაშვილი ჩიტების ჭიკჭიკის დეფიციტს განიცდისო. არ გამოვრიცხავ, ზოგიერთმა ჭიკჭიკიც იცოდეს და მიხეილის სურვილიც დაკმაყოფილდეს. ნაცსაზოგადოებაში არის ასეთი მოსაზრებებიც და მოწოდებებიც (სტილი დაცულია):

„ხალხო გავიდეთ კლინიკასთან! ვიმორიგეოთ. სავარაუდოდ მიშას ორგანოებს ამოაჭრიან! გაყიდიან ძვირად. შეიძლება სანდრას ხელიც ურევია ამ ყველაფერშიიი! სად არის სანდრა?! რატომ გაქრა ასეთ პერიოდში?!!! გამოდით მე უკვე გავდივარ. არ მივცეთ მიშას ორგანოებით ვაჭრობის საშუალება ქოცებს“!

რაღა დაგიმალოთ და ეს მოსაზრება ძალზედ ახლოსაა რეალობასთან - მართლაც, სად არის სანდრა ამ ძნელბედობის ჟამს, რომელიც არაერთხელ გახლავთ შემჩნეული ორგანოებით ვაჭრობაში? განა სწორედ ახლა არ არის ჟამი, მიშას ამოაჭრას ყველა ორგანო და ივაჭროს ძალზედ სარფიანად? განა უკან დაიხევს სანდრა, რომელსაც უზნეო მიშამ ასერიგად ატკინა გული?

კაი, ბატონებო და ქალბატონებო, დავუშვათ, სანდრა გაბრაზებულია, აღარ უნდა ამ შლეგიანის ცოლობა, მობეზრდა, გადაიღალა, სად გაქრა უკრაინელი ლიზა იასკო, რომელიც ყოველი კვირის ბოლოს ჩამოდიოდა თბილისში? ნუთუ მანაც ამოწურა საკუთარი თავი სააკაშვილთან მიმართებაში? სად არის სოფო ნიჟარაძე? სად არიან სხვები? ნუთუ ყველა ცოლმა უარყო ჩემის ტრულაილა?!

დედა მინდაო... ეს თხოვნა დაუკმაყოფილეს. დედამ, ჩემი შვილი ხალხოსანი იყო და ეხლა ხალხთან ურთიერთობა რომ აღარ აქვს, იტანჯება, ეს წამების ერთ-ერთი საშუალებააო. როგორც ჩანს, ოქტომბრის ბოლოდან მოყოლებული 1000 ადამიანის სტუმრობა ეცოტავებათ დედასაც და შვილსაც. წამების მეორე ფორმა კიდევ ის ყოფილა, რომ არც მობილური აქვს, არც ლეპტოპი, ერთი ტელევიზორია კამერაში, ეგ არიო. მე აღარაფრის იმედი აღარ მაქვს, ყოჩაღ, საქართველოვ, აესეთ ადამიანს აესე რომ ექცევითო. გაიგონეთ? გიულ-დედული მთელ საქართველოს აქეთ გვამუნათებს,



აქეთ გვადანაშაულებს, ყოჩაღები ხართ, ეგეთ გამორჩეულ ადამიანს ეგრე რომ ექცევითო. რა ვქნა ეხლა, დავიწყო ისევ მისი შვილის ავკაცობების ჩამოთვლა? ისევ ვახსენო ის ცხონებული ადამიანები, ამან რომ გაისტუმრა საიქიოში? ისევ დაგიმძიმოთ გულები და დაგაყენოთ ძალზედ ცუდ ხასიათზე? არა, მაგას ვერ ვიზამ, რაც იყო და როგორც იყო, ყველაფერი ჩემზე უკეთესად იცით.

დედა მინდაო, კაცოოო... იცით, ხან ვფიქრობ, იქნებ ამ ადამიანში ერთი დადებითი თვისება მაინც ვიპოვო-მეთქი? ვერ ვპოულობ, ჩემი აზრით, ეს არის რაღაც საოცრება, განა შეიძლება, გააჩინო შვილი, გაზარდო და ერთი სულ მცირე დადებითი მაინც არ დაანათლო? ვუყურებ გიულ-დედულის და აშკარაა, ეს „ბალღი“ ოდითგანვე მისი გაფუჭებულია. ადრეც დავწერე, მიხეილ სააკაშვილს ქართულად წერა-კითხვა უჭირს - გარდა იმისა, რომ წერს ბატიფეხურად (წაკითხვა შეუძლებელია), ვერ იმახსოვრებს ლექსის ერთ კუპლეტსაც კი... არადა, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. დარწმუნებული ვარ, ამაში დედულის ხელი ურევია, მამა ნიკოლოზი ამას არ იზამდა, მაგასაც კი აქვს გადახრები (იძახის, ჩემი შვილი მსოფლიოში პირველი პოლიტიკოსიაო), მაგრამ მაინც მორიდებულია, სკოლაში საქმეს ვერ ჩააწყობდა. ესე იგი, ტიპი ბალღობაშივე გააფუჭეს, არგუნეს ის, რასაც არ იმსახურებდა. ასევე მოხდა 2003-შიც, მაგრამ ეს უკვე ჩვენი ბრალია, ფსიქიკურად ნაკლულს ვარგუნეთ ის, რასაც არ იმსახურებდა და გაგიჟდა კიდევაც. დიახ, ის სწორად გაგიჟდა, ასეც უნდა ყოფილიყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა. სხვათა შორის, ვინც მასთან საქმე დაიჭირა, ყველა გადავიდა ჭკუიდან. თუმცა, შეიძლება მანვე შეკრიბა ჭკუიდან გადასულები და გვეჩვენება, თითქოს ახლა გადავიდნენ. მე მეორე ვერსია უფრო მგონია - ნაძირალებმა ერთად მოიყარეს თავები. აჰა, შედეგიც, იჯდეს ახლა გიულ-დედული და იძახოს, არ მჯერა, ჩემ მიხოს აქ ვერ უმკურნალებენ, საზღვარგარეთ წაყვანაა საჭიროო.

ამასობაში გავა 6 წელიწადი, მანამდე 3-4 წელიწადსაც დაუმატებენ, გაუხდება 9 წელიწადი და... იტრიალებს ეგრე წრეზე, სანამ არ დაუძახებენ: „სააკაშვილი, სვეშჩამი“!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# რა ნათესაური კავშირია მარკუს ციცერონსა და ნიკა გვარამიას შორის?

## საინტერესოა, როგორ გამოიყურებოდა ძველი რომის დროინდელი ინგა გრიგოლია და ნინო ჯანგირაშვილი





საქართველოს მოსახლეობა მუდმივ ზეწოლებს განიცდის ქართული ტელევიზიებისგან, რომელიც პროპაგანდის, რეკლამისა და მოსახლეობის ინფორმაციულ ტყვეობაში ყოფნის კლასიკური საშუალებაა.

ნიკოლოზ გვარამია „რუსთავი-2"-დან წამოსვლის შემდეგ, რაც ტელეკომპანია „მთავარის" ხელმძღვანელი გახდა, უფრო მეტ ღვარძლს და სიძულვილს აფრქვევს, ვიდრე „რუსთავი-2"დან აკეთებდა ამას. „რუსთავი-2"-შიც მავნებლობდა, იქაც არაკანონიერი გზით დასკუპებული შანტაჟებს ახორციელებდა და როგორც დავინახეთ, ხმაც ვერ ამოიღო, იქედან რომ გამოაძევეს, თორემ, გვარამიას ხომ ყველა იცნობს, ერთი პროცენტითაც მართალი რომ ყოფილიყო, ტანკითაც ვერავინ გამოაგდებდა „რუსთავი-2"დან.

ახლაც წივის და კივის დამიჭერენ და ტელევიზიას წამართმევენ, მაგრამ რაც არ უნდა მიქნან, ბიძინა ივანიშვილი რომ არ გავახარო, იმისთვის ვიცოცხლებო.






ასეთი ბოღმა და ბოროტი, მიკვირს, რომ არ სკდება ეს გაფუყული მამლისპრიჩოსკიანი ოფოფი. მაგრამ რაც უნდა იწიკვინონ და იხტუნაონ, ბიძინა ივანიშვილს ბუზსაც ვერ აუფრენენ, რადგან ამ ქველმოქმედი და ქვეყნის გადამრჩენი კაცის უკან საქართველოს მოსახლეობის მადლიერი ნაწილი დგას და არა უმადურობითა და შურით გაბერილი ერთი მუჭა სექტანტები.

ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია და ამ ქვეყნისთვის ცუდის მეტი არაფერი არ გაუკეთებიაო, რომ ამბობენ, საინტერესოა, ამას შეგნებულად გაიძახიან თუ ასე გამოშტერებულები არიან, რომ ივანიშვილის ღვაწლს და დამსახურებას ვერ ხედავენ?!

ბიძინა ივანიშვილი ორჯერ მყავს ნანახი პრესკონფერენციებზე და წარმოიდგინეთ, რომ ჩვეულებრივი კაცია, ღმერთი არ არის, ასე რომ, შეიძლება მასაც მოუვიდეს შეცდომა, მასაც შეეშალოს, ისიც მოტყუვდეს, ვიღაცას ზედმეტად ენდოს, იმ ვიღაცამ უსინდისოდ ისარგებლოს და ა.შ. ეს ჩვეულებრივი, წვრილი ამბებია და პაატარა, თაგვისგულიანი მოღალატეების თვისება, მაგრამ ადამიანმა, რომელმაც სამების ტაძარი ააშენა, ადამიანმა, რომელიც აღადგენს სვანურ კოშკებს, ადამიანმა, რომელმაც გადაარჩინა ქართული ინტელიგენცია შიმშილით სიკვდილისგან და რესტავრაცია გაუწია უამრავ ისტორიულ და კულტურულ დაწესებულებას, აღადგინა წყალტუბო, ურეკი და მრავალი სხვა, კარგით, რა, ადამიანებო, სინდისიც დიდი ღირსებაა და ვეძებოთ საკუთარ თავში.

მიშამ „აღაშენა" სიღნაღი და ბათუმიო და ა.შ. და ა.შ.-ო, ჯერ ერთი, სააკაშვილი იყო პრეზიდენტი და ევალებოდა, ბიძინა ივანიშვილი რამდენიმე თვით იყო პრემიერ-მინისტრი და უამრავი სახელმწიფოებრივი საქმე პრემიერ-მინისტრობამდე უკვე ჰქონდა გაკეთებული და პრემიერობიდან გადადგომის მერეც გააგრძელა საკუთარი ჯიბიდან საქართველოს გვერდში დგომა. სააკაშვილი თუ რამეს აკეთებდა, აკეთებდა ქვეყნის ბიუჯეტიდან, ან ბიზნესმენებს ღლეტდა, ან უცხოეთიდან აღებული ვალებით აშენებდა. გასაგებია, რომ საკაშვილი არ გახლდათ ბიზნესმენი, მაგრამ, პრეზიდენტობის პერიოდში შეიძინა იმდენი ქონება, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ვილები იყიდა და ოფშორებში თანხები რიცხა და აგზავნა. საიდან გაუჩნდა ფული? — სამწუხაროდ, ეს კითხვა„ წმინდა მიშას" მომხრებს არ უჩნდებათ ტვინის დანისლულ ხვეულებში. სააკაშვილი, სანამ პრეზიდენტი იყო, დაფშვიტინობდა ბიუჯეტის ხარჯზე. ეს დამტკიცებულია და ამისთვისაც ზის საპატიმროში. სხვათა შორის, სწორედ ეს გააპროტესტა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში — უსამართლოდ ვუზივარ ქართველებს ციხეშიო, მაგრამ საერთოდ არ განიხილეს მისი საქმე...

დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო იმ აბსურდების გასაქარწყლებლად, რომელსაც შურით და ბოღმით გონარეული შინაური მტრები თავში უტენიან გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას, თითქოს ივანიშვილი აქცევდა და აქცევს აქაურობას, მაგრამ ეს უკვე გაშიფრული ამბავია, ყველამ ვიცით, რაც არიან და რატომაც იგესლებიან — თავადაც განსაჯეთ, პატივცემულო მკითხველო: ჩართეთ ნებისმიერი ე.წ. ოპოზიციური ტელევიზია და მოუსმინეთ. დაინახავთ და გაიგონებთ ღვარძლს, წყევლას, თათხვას, ბოღმას. კარგისმსურველი ხალხი, ტელევიზია ან პოლიტიკური ძალა ამდენ წყევლა-კრულვას და უბედურებას იკადრებდა და იკისრებდა? კოკასა შიგან რაცა დგასო, ხომ გაგიგონიათ? გულში რაც აქვთ, იმას ანთხევენ და მაგათგან რაიმე სიკეთეს წარმოუდგენელია, რომ ჭკუათმყოფელი მოელოდეს.

მაგრამ პიარის მანქანა ძლიერია და ის სუსტ გონებაზე გავლენებს ახდენს. სხვათა შორის, პიარზე გამახსენდა. ის, თურმე, 2000 წლის წინათაც არსებულა და რაც მთავარია, არაფერი ახალი ამ პროფესიას აქამდე არ შემატებია.

ძველ რომშიც ტარდებოდა თურმე არჩევნები და მაშინდელი პოლიტიკოსები ყველანაირ მეთოდს იყენებდნენ, მოეპოვებინათ სიმპათიები რომის მოქალაქეებში.

იმ დროსაც იყო კონკურენტებისადმი ანგარიშსწორების სწორედ ისეთი მეთოდები, როგორსაც დღესაც იყენებენ თანამედროვე პოლიტიკოსები. შეუმჩნეველ დროსა და მომენტში, ღამით მოწინააღმდეგე ოპონენტის დისკრედიტაციისთვის კედლებზე აკეთებდა შეურაცხმყოფელ წარწერებს, მოწინააღმდეგის სახელსა და გვარს სვრიდა ტალახით, კაწრავდა დანით ან სხვა ბასრპირიანი საგნებით.

როგორც აღმოჩნდა, რომშიც არჩევნებს იგებდა კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირება მოსახლეობის დაპურებასა და კანდიდატის ხელგაშლილობაზე. მეტად ეფექტური ყოფილა მასობრივი სუფრები მხარდამჭერებისთვის, ქეიფი და დროსტარება.

ძველ რომში გავრცელებული იყო ე.წ. ხმების გავრცელების სამსახურიც, არსებობდნენ სპეციალურად გამოყოფილი ადამიანები, რომლებიც ამ სამსახურს ასრულებდნენო. ანუ ნიკა გვარამიასნაირი ხალხი მაშინაც არსებულა. საინტერესოა, როგორ გამოიყურებოდა მაშინდელი ინგა გრიგოლია და ნინო ჯანგირაშვილი, მაგრამ დავბრუნდეთ ძვ.წ.აღ-ით 60-იან წლების ძველ რომში. იმ ხანებში კონსულის (უმაღლესი პოსტი რომის რესპუბლიკაში) თანამდებობაზე პრეტენდენტობა განუზრახავს ე.წ. „პლებეური" პარტიის ლიდერს ლუციუს სერგიუს კატილინს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ლუციუს სერგიუსი მეტად დაუზარალებია შავ პიარს, რომელიც მის წინააღმდეგ ააგორეს. ამ საქმეში მონაწილეობდა იმ დროის შესანიშნავი ორატორი და მოღვაწე, ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილი მარკუს ტულიუს ციცერონი. ციცერონი და მისი მეგობრები დადიოდნენ თურმე რომის ქუჩებში და გაჰყვიროდნენ, რომ კატილინა არაადამიანია, ის არის ურჩხული, სვამს ადამიანთა სისხლს, ჭამს პატარა ბავშვებსო. დიახ, დიახ, ზუსტად ასე ლაპარაკობდნენ, რისთვისაც დაიქირავეს გლადიატორები, რომ დაეჭირათ კატილინა და გადაეცათ მართლმსაჯულებისათვის. კატილინამ დაუფიცა თავის მომხრეებს, რომ უსამართლო რომიდან ქვას ქვაზე არ დატოვებდა, ხოლო ყველა მოქალაქეს, რომლებიც მის შეურაცხყოფას, დასჯას და დამცირებას მოითხოვდა, მონად გაყიდვა მოელოდა.

აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანთა მცირე ჯგუფის მერკანტილურმა ინტერესებმა პოლიტიკური პროცესები და როგორ შეიძლება ამას შეეწიროს ადამიანთა ბედი.

რომის პიარის შემდეგ საუკუნეები გავიდა, მაგრამ როგორც ხედავთ, ადამიანები პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისადმი იგივე მეთოდებს იყენებენ, როგორც ადრე, მაგრამ ამ ნახევარქათამა გვარამიას პიარი, პროპაგანდა და მუქარა ისეთივე სასაცილო და უსუსურია, როგორიც მისი შეჭაღარავებული ქოჩორი და მისი გესლი და ნერვიული კონვულსიები ბიძინა ივანიშვილის ვერც ღვაწლს დააკლებს რამეს და ვერც მის ავტორიტეტს.





**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# სიკვდილის კალო

უკრაინელებისთვის მხარდაჭერის განსახორციელებლად მიწოდებებში განსაკუთრებით ბრიტანელები აქტიურობენ. გასული კვირას დასავლეთის ცალკეულმა გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბრიტანელები მთელ მსოფლიოში ეძებენ და აგროვებენ საბჭოთა პერიოდის სამხედრო ტექნიკას, რათა შემდეგ უკრაინას მიყიდონ. ბრიტანეთის ხელისუფლება კვლავ მზადყოფნას გამოთქვამს უკრაინიდან დევნილების მიღებაზე. თუმცა, ოფიციალური პირების განცხადებით, დევნილები ბრიტანეთში ლეგალური გზით უნდა შევიდნენ. ფილტრაციის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტენ, ვის დატოვებენ ქვეყანაში. დევნილების ნაწილი, შესაძლოა, რუანდაში გადაანაწილონ, ქვეყანაში, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ჰუმანიტარულ მისიებში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა დააკმაყოფილა პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიმართვა, უკრაინისთვის დამატებით 33 მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე. უფრო მეტიც, კანონმდებლებმა გადაჭარბებით შეასრულეს პრეზიდენტის თხოვნა და თანხა 40 მილიარდამდე გაზარდეს. ამის შემდეგ პროცესმა სენატში გადაინაცვლა. სწორედ სენატში მოხდა თანხის გამოყოფის ბლოკირება. რესპუბლიკელი სენატორები უკმაყოფილოები არიან უკრაინისთვის დიდძალი შეიარაღების გადაცემით. მათი შეფასებით, მხოლოდ სამ თვეში თითქმის 7 წლის მარაგი ამოწურეს, რომლის შევსება საკმაოდ პრობლემატურია. სენატორების თქმით, ტაივანიც შესაიარაღებელია იგივე იარაღით, რათა ჩინეთის კომუნისტურ რეჟიმს დაუპირისპირდნენ და თავი დაიცვან. შიშობენ, რომ ტაივანისთვის შეიარაღება აღარ ეყოფათ.

გასულ კვირას რესპუბლიკელმა სენატორმა კენტუკის შტატიდან რენდ პოლმა ვეტო დაადო პრეზიდენტის ინიციატივას უკრაინისთვის თანხების გამოყოფის თაობაზე. „ჩვენ ვარ გადავარჩენთ უკრაინას აშშ-ის ეკონომიკის ხარჯზე“, — განაცხადა პოლმა. რესპუბლიკელი კონგრესმენები და სენატორები უკმაყოფილოები არიან მსგავსი ხელგაშლილობით, როდესაც ქვეყანაში ინფლაცია ბობოქრობს და მკვეთრად იზრდება ფასები. ახლა სენატმა უნდა განიხილოს პოლის პრეტენზიები. სენატორის საკითხის ბლოკირება 19 მაისამდე უნდა დაძლიონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეექმნებათ უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაში. ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ დემოკრატები შეძლებენ ვეტოს დაძლევას, მაგრამ დახმარების გამოყოფა დროში გაიწელება.

სენსაციური განცხადება გააკეთა გასულ კვირას პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ვიცე-ადმირალმა ჯონ კირბიმ. მისი თქმით, რუსეთის შეჭრამდე დიდი ხნით ადრე აწვდიდნენ იარაღს უკრაინელებს აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა... „...ჩვენ უკრაინელებს რვა წელი ვაიარაღებდით“, — განაცხადა კირბიმ. ამერიკელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ ჯო ბაიდენს საკუთარი ადმინისტრაციის წევრები და ანალიტიკოსების ნაწილი ურჩევენ, შეაჩეროს უკრაინისთვის „სტინგერებისა“ და „ჯაველინების“ მიწოდება, რადგან აშშ-ში ამ იარაღის დეფიციტია. პენტაგონი, თავის მხრივ, მოუწოდებს უკრაინას, გაუფრთხილდნენ მათ მიერ გადაცემულ იარაღს და მოწინააღმდეგეს ხელში არ ჩაუგდონ.



სამ თვეზე მეტია, უბრად არიან ამერიკელი და რუსი პოლიტიკოსები, დიპლომატები. დუმილი აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა დაარღვია. გასულ კვირას მან დაურეკა რუს კოლეგას სერგეი შოიგუს. საუბრის დეტალები უცნობია. ჯონ კირბის თქმით, ოსტინმა უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა. რა უპასუხა შოიგუმ, ამაზე კირბი არაფერს ამბობს. რუსულ მხარეს კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ საუბრის ფაქტი დაადასტურა. უდავოდ მნიშვნელოვანია ასეთ დაძაბულ პერიოდში ორი უდიდესი ქვეყნის თავდაცვის მინისტრების კონტაქტი, რათა როგორმე შეძლონ შეიარაღებული კონფლიქტის ლოკალიზება.

მძიმე ვითარებაა უკრაინაში, განსაკუთრებით, მარიუპოლის „აზოვსტალის“ ქარხანაში. თავშესაფარში გამაგრებულმა მებრძოლებმა, ექიმმა, ოფიცერმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ვიდეოჩართვით დახმარება სთხოვეს ხელისუფლებას. გასულ კვირას ბრიტანულმა ტელევიზიამ „სკანიუსმა“ გაავრცელა ინტერვიუ „აზოვის“ ბატალიონის ოფიცერთან, ვინმე ილია სამოილენკოსთან. „...აზოვსტალის“ თავშესაფრებში სამოქალაქო პირები აღარ არიან, ამიტომ მებრძოლებს ყოველდღე დაღუპვა გველოდება, ყოველი წუთი ჩვენთვის შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს. ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში იგივე სიკვდილი გვემუქრება“, — თქვა სამოილენკომ. „აზოვსტალში“ ჩარჩენილები დახმარებას, შველას ითხოვენ, რომელიც არსაიდან ჩანს.

საპროტესტო აქცია გამართეს ქალებმა ლვოვში. ისინი ითხოვენ, გააგებინონ, სად არიან მათი ქმრები, შვილები, რომლებიც მობილიზაციის კანონით გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მაგრამ უცნობია მათი ადგილსამყოფელი და ისიც, არიან თუ არა საერთოდ ცოცხლები. ქალები ასევე ბრძოლების შეწყვეტასაც მოითხოვდნენ. სამაგიეროდ, უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმერ ზელენსკის მეუღლე ელენა თებერვლის შუა რიცხვებიდან საფრანგეთშია. გასულ კვირას ის სპეციალურად ცოტა ხნით ჩაიყვანეს უჟგოროდში ჯო ბაიდენის მეუღლესთან შესახვედრად. შეგახსენებთ, ჯილ ბაიდენი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს სტუმრობდა, ამიტომ თავი მოვალედ ჩათვალა, შეხვედროდა ელენა ზელენსკის.

„აზოვსტალში“ ჩარჩენილი მებრძოლების მეუღლეებმა მოახერხეს რომის პაპთან ფრანცისკესთან შეხვედრა, რომელსაც დახმარება სთხოვეს მებრძოლების გამოყვანაში. პაპი მათ ლოცვას შეჰპირდა. ამასთან, უკმაყოფილო დარჩა დაუგეგმავი, შეუთანხმებელი ვიზიტის გამოც. რომის პაპმა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების პროვოცირებაში ნატო დაადანაშაულა. სამხედრო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ზელენსკის „აზოვსტალში“ ჩარჩენილი მებრძოლების ბედი სულაც არ აინტერესებს, ისინი მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის სჭირდება. გასულ კვირას კიევში კანადის პრემიერ-მინისტრი ჯასტინ ტრიუდო იმყოფებოდა. სწორედ მისი თანდასწრებით მიანიჭა უკრაინის გმირის წოდება ზელენსკიმ ძალოვანი სტრუქტურის „თანამშრომელ“ ძაღლს! სწორედ ამ ქვეყნის ოფიციალური პირები აკრიტიკებენ საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ რისთვის?! გაეროს ოფიციალური პირების განცხადებით, მათ აქვთ დამამტკიცებელი დოკუმენტები, რომ ნაცბატალიონების მებრძოლები აწამებდნენ რუს ტყვეებს. განცხადება ამით არ ამოიწურება და გაგრძელებაც ექნება.

„...ჩვენ ახლა ორ ფრონტზე ვიბრძვით. პირველი — დავამარცხოთ ინფლაცია და მეორე — დროულად გავიტანოთ უკრაინის საცავებში არსებული 20 მილიონი ტონა ხორბალი მსოფლიო ბაზარზე, რათა არ დავუშვათ ფასების მკვეთრი ზრდა და სამყაროში საყოველთაო შიმშილი...



უკრაინიდან ხორბლის ექსპორტს უკვე დავიწყებდით, პუტინი რომ არ შეჭრილიყო“, — განაცხადა ჯო ბაიდენმა. ფასების დარეგულირება მსოფლიო ბაზარზე კარგია, მაგრამ აქედან რა სარგებელს ნახავს უკრაინა, გაუგებარია. საერთოდაც, უცნაური შემთხვევაა, როდესაც საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნიდან გააქვთ სტრატეგიული პროდუქტი, მით უფრო, ხორბალი. საკითხავია, შეძლებს კი ქვეყანა, მოიყვანოს თავისთვის საკმარისი პროდუქტი, როდესაც მის ტერიტორიაზე საბრძოლო ვითარებაა? თუმცა, ეს უკრაინელების სადარდებელია. ექსპერტების შეფასებით, ბაიდენს აშშ-ში არსებული სასურსათო კრიზისის მოგვარება უნდა, ამიტომაც გააქვთ უკრაინიდან ხორბალი.

აშშ-ის ადმინისტრაციამ გასულ კვირას დაადასტურა, რომ მიიღებს 100 000 უკრაინელ დევნილს. თუმცა წაუყენა გარკვეული პირობები. თითოეულმა უნდა მოიძიოს აშშ-ში მცხოვრები მოქალაქეები, რომლებიც დათანხმდებიან, დააკმაყოფილონ დევნილები საცხოვრებლით და ორი წელი არჩინონ. ძნელი სათქმელია, რამდენი ოჯახი დათანხმდება, შეინახოს უცხო ადამიანები. თავად ზელენსკი ლენდ-ლიზით კმაყოფილია და იმასაც აცხადებს, ვალის დაბრუნება არ მოგვიწევსო. გაუგებარია, რას გულისხმობს, აშშ, ვალს, ტრადიციულად, არავის პატიობს.

„მაკრონმა იცრუა, როდესაც განაცხადა, ნატოს ტვინი მოკვდაო. არ მომკვდარა! პირიქით, ალიანსი ისეთი ძლიერი არასოდეს ყოფილა, როგორიც დღეს არის!“ — უთხრა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა ჯო ბაიდენს გასულ კვირას. სავარაუდოდ, იცოდა, რომ მისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი შეძლებდა ფინეთისა და შვედეთის ხელისუფლებების დაყოლიებას ნატოში გაწევრიანებაზე.

ამასობაში აშშ-ის კინოთეატრებში უჩვენებენ დოკუმენტურ ფილმს, სადაც მოთხრობილია 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების ფაქტები. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქვეყნის მმართველს საკმაოდ ბევრი შინაური პრობლემები აქვს, რომელთა გადაფარვასაც საერთაშორისო არენაზე ცდილობენ.




გია ბურდული
551 71 27 07



# სახელდახელოდ ჩაწერილი მაზალო ამბები

### სულელი ჯელალი

აჭარელი ჯელალ ქიქავა დაპატიმრებულია, 2-თვიანი წინასწარი შეუფარდეს.

ჯელალი არაორდინალური პიროვნებაა... უფრო სწორად, ჯელალი პიროვნება კი არა, მიშმადიდებელთა სექტის რაღაცნაირი აქტივისტია - კახეთში ეგეთზე იტყვიან ხოლმე, კრამიტი დაუცურდა და გასწორება სჭირდებაო... თუმცა ეგ აღარ უშველისო.

ჯელალი სულ შარზეა, სადაც არ უნდა იყოს, ჯიჯღინებს და ღნავის. დიდი არ იცის, პატარა არ იცის, არც მოხუცი, არც ქალი, არც კაცი, არც პროკურორი, არც მოსამართლე, არც გლეხი, არც მუშა, ვისაც მიშა არ უყვარს, ყველას აგინებს. აგერ, სამ კვირაზე მეტია, რაც სააკაშვილის საქმის პროკურორებს სასამართლოს დარბაზში ქათმები ეძახა. ქათამი ვინ არი, ეხლა გაჩვენებთო და ეგრევე აღუძრეს სისხლის სამართლის საქმე. ჰოდა, უკვე გითხარით, 2-თვიანი შეუფარდეს და „კაპეზეში" შეაგდეს!

ეგ კიდევ არაფერი, ყველაზე საინტერესოს ახლა მოგიყვებით: სანამ ჯელალს დააპატიმრებდნენ, ბათუმში შვილის ქორწილისთვის ემზადებოდა. თბილისიდან დაურეკეს, პროკურატურაში ხართ დაბარებული დაკითხვაზე და უნდა ჩამობრძანდეთო. ჯელალმა ისევ იუხეშა, ჩამოვბრძანდე კი არა, თუ გინდათ, თუ მაგდენს გაბედავთ, თვითონ ჩამოეთრიეთ და დამკითხეთ, 29 აპრილს შვილის ქორწილი მაქვს, თქვენთვის არ მცალიაო. გამომძიებლებმა არ დაიზარეს, ბათუმში ჩააკითხეს და იმდენი ქნეს, შვილის ქორწილს არ დაასწრეს, 28-ში წაიყვანეს.

ჯელალი შინაურებს როგორ უყვართ, აქედანაც ნათლად გამოჩნდა, ქორწილი არა თუ გადადეს, რესტორანში ხოშიანად მოულხინეს და რუსულ სიმღერებზეც იცეკვეს - „იშიო ნე ვრემია, იშიო ნე ვრემია"-ო. ყველაზე გამორჩეულად მაინც აჭარის უმაღლესი საბჭოს „ნაციონალმა" წევრმა ასმათ დიასამიძემ მოილხინა და ხელებიც გაშალაო, ამბობს ქორწილში დაპატიჟებული ჩვენი ერთ-ერთი ახლობელი, მოლხენაც არის და მოლხენაც, სუ ევროპულად იქცეოდა რუსული მუსიკის თანხლებითო.

ამ დროს კი... იჯდა ჯელალი კამერაში და ამაოდ იჭყლეტდა ტვინის ნაცვლად აყალოს. ტვინი არ აქვს, თორემ განა აყალოს დაჭყლეტდა?

სხვათა შორის, ამ ქორწილის ვიდეო ყოფილ პატრულს, ამჟამად „ნაციონალს", გია ხალვაშს თავის „ფეისბუკგვერდზე" „გაეპარა". როგორც ჩანს, იმდენი ღვინო ყლურწა, ვეღარ მოზომა. ეს საკითხი დაუყოვნებლივ განიხილეს აჭარის პარტიულ ორგანიზაციაში და დაადგინეს, რომ ხალვაშს ვიდეო სასწრაფოდ უნდა წაეშალა. როდესაც ის გამოფხიზლდა, უიო, შეჰკივლა თურმე და ეგრევე წაუშლია, თან ბოდიშიც მიუყოლებია.

ჯელალი ივნისის შუა რიცხვებამდე „კაპეზეში" უნდა იჯდეს. შემდეგ სასამართლოში წაიყვანენ და განაჩენსაც გამოუტანენ. ეს არ არის ადმინისტრაციული დავა, ეს არის სისხლის სამართლის საქმე, შეიძლება ჯელალს პროკურორებისა და მოსამართლეების შეურაცხყოფა ძვირად დაუჯდეს.

### ქალბატონი მწერალ-პროზაიკოსი და ლაურეატი

თეონა დოლენჯაშვილზე ამბობენ, მწერალი (პროზაიკოსი), ჟურნალისტი (პუბლიცისტი) და საზოგადო მოღვაწეაო... მამუკა ხაზარაძემ ორჯერ ლიტერატურული პრემია „საბაც" მიანიჭაო.

იყოს, კაცო, მწერალ-პროზაიკოს-პუბლიცისტ-საზოგადო მოღვაწე შინაურობაში და აძლიონ ე.წ. ლიტერატურული პრემიები ასევე შინაურობაში, ჩემი რა მიდის? მე უბრალოდ იმას ვჩივი, რომ ამას, ამ ქალბატონს ხშირად ჭკუასაც ეკითხებიან. დიახ, მიიწვევენ ხოლმე სტუდიაში, დასვამენ რბილ სავარძელში, გადაადებინებენ ფეხს ფეხზე და ალაპარაკებენ.





ალაპარაკონ, კაცო, არც მაგაზე ვდარდობ (მეტი საქმე არ მაქვს, ვიდარდო!), მაგრამ ზოგჯერ ისეთს „წამოაწვენს", ადამიანი იფიქრებ, ეს რანაირი მწერალ-პროზაიკოს-ჟურნალისტ-ლაურეატ-საზოგადო მოღვაწეაო?

არადა... ლიტერატურული პრემიების დამრიგებელი მამუკა ხაზარაძე ამტკიცებს, არიო... ეგ კი არა, დიდად მოაზროვნე პოლიტიკოსიც გახლავთო.

მის „შემოქმედებაზე" სხვა დროს დავწერ, ამჯერად მინდა, ერთი ფრაგმენტი შემოგთავაზოთ მისი „ღრმა" ნააზრევიდან... ნახეთ, როგორ აფასებს ბიძინა ივანიშვილის საქმიანობას და დენდროლოგიური პარკის საჭიროებას (სტილი დაცულია):

„მე ვყოფილვარ დენდროლოგიურ პარკში, მაგრამ მე დამიხედავს ზემოდან ციხისძირისთვისაც, სადაც არის უზარმაზარი ორმოები, დათხრილი მთლიანად ულამაზესი კუთხე, რას ვსაუბრობთ ეხა, საპირწონედ რას ვაყენებთ, ადამიანმა საკუთარი ოაზისი რომ მოიწყო და შემდეგ ისა?! ჰო, მოგვცა უფლება, რომ ხეზე ავსულიყავით და უფასოდ შევიდეთ ქვეყანაში რაღაც იმაში! ჩვენ შეგვიძლია, შევიპაროთ კატებივით და დავტკბეთ იმ სიკეთით, რომელიც შექმნა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი თავისთვის. ეგრეა, ჩვენ მართლა ვართ დენდროლოგიური პარკი, სამწუხაროდ"!

არა, მართლა რანაირი მწერალ-პროზაიკოს-ჟურნალისტ-პუბლიცისტ-ლაურეატ-პოლიტიკოს-საზოგადო მოღვაწეები არიან, კაცო, ხომ შეიძლება, ცოტა აზროვნების უნარიც ჰქონდეთ?!

### თქვენი ყველაყისამ!

ჭაობის ბაყაყისებრთა ოჯახის წარმომადგენელმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, სანამ ერეკლე მეორეს მოღალატედ არ გამოვაცხადებთ, არაფერი გვეშველებაო... ირაკლი ღარიბაშვილიც ერეკლეს აჰყოლია და იგივეს ლაპარაკობს, ომი არ გვინდაო... გვინდა, როგორ არა, აბა, უომრად რა ხეირი ვნახეთო?

ამან არისტოფანეს „ბაყაყები" რომ გააფუჭა თარგმანში, თავი დიდად მოაზროვნე ჰგონია. პერიოდულად წამოუვლის ხოლმე, ძირითადად გარდაცვლილ პიროვნებებს „უტრაკებს". იცის, ვერ უპასუხებენ.

ბატონო ლევან, უკაცრავად, მაგრამ იქნებ საზოგადოებას ამცნოთ, როდის უნდა დაანებოთ თავი ბებიათქვენის მუთაქების თელვას?

არა, მე არ მაქვს იმედი, რომ მუთაქების თელვას და საკუთარ თავზე დაფსმას შეეშვებით, მაგრამ რავი, მაინც ვიკითხე!

ჰოდა, ეგ გაცვეთილი გვერდები იქამდე არ აგიდგეთ, სანამ ის ერეკლე მოღალატედ გამოაცხადოთ და ამ ირაკლის კიდევ რამე გადაუღუნოთ!

ერთი მარტო სცადეთ!!!

არა, ის როგორ იყო, რუს გენერალს თუ ლეიტენანტს ანგარიშს რომ აბარებდით და მიშა სააკაშვილმა კიდევ ფარულად რომ ჩაგწერათ და გამოგიქვეყნათ?

რაც მართალია, მართალია, მიშა მაგ საქმეში მაგარი იყო.

ისე, საინტერესოა, კიდევ აბარებთ ხოლმე ანგარიშებს რუსებს, თქვე ჩვენის ტრულაილავ?!

ალბათ, აბარებთ, იმის ჭამას ხომ არ მოიშლიდით?!

### ეკონომისტი რომანა

კარქი, რა, რომანა ძიავ, კარქი, რა!

პარლამენტში რომან გოცირიძეს მიკროფონი ჩაურთეს და იმანაც დაიწყო... არა, გატყუებთ, ჯერ ულვაშები გადაიგრიხა და მერე დაიწყო: ღარიბაშვილის თქმითაო, თურმე საქართველოში ამიერიდან ჰესებს სახელმწიფო ააშენებსო.

ეს რა თქვა, ხალხო, ეგეთი რაღაცა როგორ შეიძლება, სად გაგონილა, ჰესებს სახელმწიფო აშენებდეს, კერძო ინვესტორთა ინტერესები კიდე უარყოფილი იქნასო?!

რომანა ძიამ უფრო შორსაც გააჭენა: ღარიბაშვილმა ისიც თქვაო, რომაო, სახელმწიფოს ამის საშუალება აქვს და ჰესებს ააშენებს კიდევაცო. არ გამაგიჟოთ, ეხლა ჩვენ ქვეყანას ამდენი ფული საიდან უნდა ჰქონდესო?!

ბოლოს კი... როცა რომანა ძიას საგანცხადებო დრო ამოეწურა და თავმჯდომარის დასტურით 1 წუთი დაუმატეს, უარესი სირობა განაცხადა: საქართველო ენერგეტიკულად მიაბეს რუსეთსო.

ეხლა ეს ან ვირობს და ეშმაკობს, ან კიდე გულის მავიწყობა დასჩემდა მოხუცებულობისა გამო.

კარქი, რა, რომანა ძიავ, გაიხსენე, ვინ და რატომ მიგვაბა რუსეთს ენერგეტიკულად... ვინ და რატომ აჩუქა რუსეთს 80-მდე სტრატეგიული ობიექტი.

ჰო, კაცო, გაიხსენე, რისთვის გამოგაგზავნეს!



მაზალო ამბები
სახელდახელოდ ჩაიწერა
**გელა ზედელაშვილმა**
555 48 48 61

# კაენის ცოდვა



საუკუნეების განმავლობაში მტრობის, ომებისა და სისხლისღვრის მიუხედავად, ებრაელები, ქრისტიანები და მუსლიმები თანხმდებიან ერთ რამეზე, ყველაფრის მიღმა დგას ერთი ღმერთი და ადამიანები ადამისა და ევას შთამომავლები არიან. ორიათასი წლის განმავლობაში კაენისა და აბელის მოკლე და ამოუცნობი ისტორია საგონებელში აგდებდა ბიბლიისა და ყურანის მკითხველებს იდუმალებისა და საიდუმლოებების გამო. როგორც ყურანის მკვლევარები განმარტავენ, აბელი უარს ამბობს ძმისთვის წინააღმდეგობის გაწევაზე, მიუხედავად იმისა, რომ კაენი მას აზრჩობს. როცა ეს უკანასკნელი აღმოაჩენს, რომ მრავალი მცდელობის მიუხედავად ძმის მოკვლა არ შეუძლია, ეშმაკი ჩნდება და მასთან საუბარს იწყებს, ასწავლის, როგორ მიიყვანოს დაწყებული საქმე ბოლომდე. ეშმაკი შთააგონებს კაენს, აიღოს ქვა და აბელს შუბლში ჩაარტყას. ყურანის კომენტარების მიხედვით, ევას ცრემლები იყო პირველი ცრემლები, რომელიც ადამიანს



წამოსვლია. ისლამური ტრადიციით, სწორედ ასე იქცა სევდა ადამიანის ცხოვრების შემადგენელ ნაწილად. მონოთეისტური ტრადიციების მიხედვით, ეს არის სიკვდილის, მკვლელობის, ძმის მოკვლისა და დარდის პირველი მაგალითი. მას შემდეგ მწუხარება მრავლდება და ვრცელდება როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში: ცრემლები, ტანსაცმლის შემოხევა, კბილების ღრჭიალი და სისხლისღვრა – ეს ყველაფერი ადამიანის მიერ ღმერთის მოწყალების ხელმეორედ უარყოფის შედეგია, რაც ძმის მოკვლით იყო გამოხატული. ძველი აღთქმის დანარჩენი ეპიზოდები სავსეა ისტორიებით, რომლებიც კაენისა და აბელის ძალადობრივი ამბის ექოს წარმოადგენს, ძმები ერთმანეთს უპირისპირდებიან ოჯახებით, სისხლით, მემკვიდრეობით, ისინი აღვსილი არიან ეჭვიანობით, თუმცა დროთა განმავლობაში რაღაც ბრძნული ხდება, განრისხებული ძმები პატიებას სწავლობენ. დაბადების წიგნის ოცდამეხუთე თავში მოთხრობილია ტყუპი ძმების, იაკობისა და ესავის ამბავი, რომლებიც მათი მამის, ისააკის მემკვიდრეობას ვერ იყოფენ. ისინი ჩხუბს იწყებენ ჯერ კიდევ მაშინ, როცა დედის (რებეკას) მუცელში არიან. რებეკა ხვდება, რომ არდაბადებულ ჩვილებს უთანხმოება აქვთ, თუმცა მიზეზს ვერ იგებს და ღმერთის წინასწარმეტყველთან მიდის რჩევისთვის. მისგან ასეთ პასუხს იღებს: „ორი ხალხია შენს მუცელში, ორი ტომი გამოვა შენი საშოდან; ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება, უფროსი უმცროსს დაემორჩილება.“ ფაქტობრივად მის მუცელში ორი ერი ებრძოდა ერთმანეთს.

დაბადების წიგნის მომდევნო ეპიზოდში მოთხრობილია იოსების ამბავი. ყველაფერი იწყება ცნობილი ჭრელი კვართით, რომელიც იაკობის საჩუქარი იყო მისი უმცროსი ვაჟის, იოსებისთვის და წარმოადგენდა მთელი მემკვიდრეობის მიღების სიმბოლოს. იოსების უფროს ძმებს სიბრაზე და შური ავსებთ. ისინი იპარავენ კვართს და ნიღბავენ ისე, თითქოს მათი ძმა დაიღუპა, სინამდვილეში კი მონათმფლობელებს მიჰყიდიან. იოსები ეგვიპტეში აღმოჩნდება, მალე კი საპყრობილეში ამოყოფს თავს. ორწლიანი ტანჯვის შემდეგ მას ფარაონი იხმობს. მან გაიგო, რომ ამ ტუსაღს სიზმრების ახსნის ნიჭი აქვს. იოსები უსმენს ფარაონის მონაყოლს და ხვდება, რომ სიზმარი მას ღმერთისგან მოევლინა. იოსები აფრთხილებს, რომ ნილოსის წყლები დაშრება და დადგება შვიდ წლიანი შიმშილი, თუმცა იმასაც ამცნობს, როგორ დაიცვას სამეფო. ფარაონი აღფრთოვანებული რჩება და მას ფარაონობის შემდეგ უმაღლეს ტიტულს, თავისი სახლის მოურავობას ანიჭებს. იოსები გავლენიანი და მდიდარი ხდება, მალე კი შურისძიების საშუალებაც ეძლევა. იოსები შეიტყობს, რომ მისი ძმები ეგვიპტეში მოდიან, რათა შიმშილს დააღწიონ თავი. მან იცის, რომ შეუძლია, ისევე მოუღოს ბოლო თავის ძმებს, როგორც კაენმა აბელს, თუმცა ამის ნაცვლად სტუმართმოყვარეობას იჩენს. იოსებმა იმათი სიცოცხლე იხსნა, ვინც ადრე მოკვლა დაუპირა. ღმერთი კაენს არ კლავს ჩადენილი საშინელი საქციელის გამო, არამედ უსჯის გადასახლებას, გაძევებას ნოდის მიწაზე. კაენს ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი გამბედაობა, რათა ღმერთს დაცვა სთხოვოს. ღმერთი აკმაყოფილებს მის თხოვნას და უჩვეულო ფორმით იცავს. ნიშანს ადებს.

როგორც კაენმა მოკლა აბელი, ისე ებრაელებმა იმსხვერპლეს იესო და ჯვარს აცვეს. კაენს მიესაჯა ხეტიალი, მარტოობა, ვერ სახლდებოდა ერთ ადგილას დიდი ხნის განმავლობაში, რაც მოგვიანებით ებრაელების ბედისწერად იქცა. წიგნში „ღვთის ქალაქი“ ნეტარი ავგუსტინე წერს: „ის იყო იმ ებრაელთა პირველსახე, ვინც მოკლა ქრისტე, მწყემსი აბელის სიმბოლო.“ ავგუსტინეს ნაშრომი ხელშემწყობი გახდა იმდროინდელი ანტისემიტური მოძრაობებისთვის, რომლებიც შემდგომ მთელ მსოფლიოს მოედო. მეცამეტე საუკუნეში რომის პაპმა ინოკენტი მესამემ გამოაცოცხლა ავგუსტინესეული ხედვა კაენსა და აბელზე და ბრძანა, რომ ყველა ებრაელს განსხვავებული ტანისამოსის ტარებით გამოეყო საკუთარი თავი საზოგადოებისგან. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ესპანეთში ანალოგიურად მოიქცა საღვთო რომის იმპერატორი ალფონსო მეათე „ყველა ებრაელი, რომელიც არ ატარებს განმასხვავებელ ნიშანს, ყოველ აღმოჩენაზე გადაიხდის ათ ოქროს მარავედს, ხოლო თუ ამის საშუალება არ აქვს, ათი შოლტით დაისაჯოს.“

1941 წელს ნაცისტებმა უბრძანეს ყველა გერმანელ ებრაელს, მოეხდინათ თავიანთი თავის იდენტიფიცირება ყვითელი ვარსკლავით. პროპაგანდის რაიხსმინისტრი იოზეფ გებელსი გაზეთებში სტატიებს აქვეყნებდა, სადაც ყვითელ ვარსკვლავს კაენის ნიშანს ადარებდა და დასცინოდა ბერლინელ ებრაელებს, რომლებიც ვარსკვლავის დამალვას ცდილობდნენ ხოლმე. „ქუჩაში ყველა ებრაელი გაზეთს ყიდულობს, რათა კაენის ნიშანი ასე დაიფარონ.“ კაენისა და აბელის ისტორიაში არსებობს კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც არ გვხვდება დაბადების წიგნში, სამაგიეროდ ისლამური ტრადიციების ნაწილს წარმოადგენს. კაენი, როცა თავისი ცოდვის სიმძიმეს პირველად აცნობიერებს, ადამიანისა და ღმერთის თვალიდან კვალის დამალვას ცდილობს. მან არ იცოდა, აბელის გვამისთვის რა მოეხერხებინა, შემდეგ კი დაინახა ყორანი, რომელმაც მეორე ყორანი მოკლა, ნისკარტით პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ჩამარხა და ქვიშა მიაყარა. ამის დანახვისას კაენს დაებადა აზრი, რომ შეეძლო, ანალოგიურად მოქცეულიყო და ძმის სხეული დაემარხა და ასეც მოიქცა. აღსანიშნავია, რომ ცოდვის დამალვის მცდელობაში კაენი პირველი არ ყოფილა და მანამდე იგივე მისმა მშობლებმა გააკეთეს. ეს თვისება კი, როგორც ბიბლიიდან ჩანს, ღმერთის ძლიერ რისხვას იწვევს. როგორც ბიბლიის ერთ-ერთი განმარტება გვამცნობს, რეალურად კაენი უფრო შორს წავიდა და გარდა მკვლელობისა და აღიარების უარყოფისა, კიდევ ერთ ცოდვა ჩაიდინა. „უთხრა ღმერთმა: ეს რა ჩაიდინე? შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს.“ სისხლის შესატყვისი ებრაული სიტყვა არის „დამეემ“ და ამ მუხლის უფრო ზუსტი თარგმანი ასე იქნება: „შენი ძმის სისხლები მიწიდან შემომღაღადებს“. რას ნიშნავს სისხლები? კაენმა ხომ მხოლოდ ერთი პიროვნება მოკლა? შესაძლო ახსნა ისაა, რომ მასში იგულისხმება როგორც აბელის, ისე მისი სავარაუდო შთამომავლების სიცოცხლე. რადგანაც აბელი მოკვდა, მისი შთამომავლები ვეღარასდროს დაიბადებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლელობა უფრო მეტია, ვიდრე ერთი ადამიანისთვის სიცოცხლის ხელყოფა.



მათ წმინდა წიგნებში ადამიანები ადამისა და ევას შთამომავლებად სახელდებიან, ყველგან აღიარებულია კაენისა და აბელის ამბის გაკვეთილი, მაგრამ ამის მიუხედავად ეს რელიგიები საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის დაპყრობას, განადგურებასა და საბოლოოდ მოსპობას ცდილობდნენ, რაც ადასტურებს, რომ კაენის ეპიზოდში დაშიფრული გზავნილი დაივიწყეს. ათასწლეულის მანძილზე სისხლიანი ანტისემიტიზმი მძლავრობდა, შუა საუკუნეებში ჯვაროსნული ლაშქრობები დაიწყო, რაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა ისლამის ოქროს ხანის დასასრულებლად. ამჟამად უკრაინაში მიმდინარეობს ძმათა მკვლელი ომი, რომელიც არავინ იცის როდის, ან როგორ დასრულდება. ახლო აღმოსავლეთში ადგილი აქვს შემზარავ რელიგიურ კონფლიქტებს, რაც ხშირად მასშტაბური სისხლისღვრით სრულდება. დღეს ყველაზე ნაკლებად ახსოვთ ის გაკვეთილი, რომელიც პირველი სიკვდილის, პირველი მკვლელობის, პირველი მწუხარებისა და პირველი მონანიების მიღმა დგას. დავიწყებული აქვთ, რომ ბიბლიის მიხედვით, ყველა ადამიანი ერთმანეთს ენათესავება და ერთმანეთზე ზრუნვა ყველას ვალია, ეს ეხება როგორც ახლობელს, ისე დედამიწის მეორე ბოლოში მცხოვრებ ადამიანს.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ისტორიული მეხსიერების ამნეზია

**დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დაზვერვის სამსახურის ბრწყინვალე სპეციალისტის, ისტორიკოსისა და ანალიტიკოსის რეზო რომანაძის ნაშრომი „ისტორიული მეხსიერების ამნეზია“ (აჭარა 1918-19 წლებში)**

**ნაშრომში ამომწურავად არის გაშლილი საქართველოს და კერძოდ, აჭარის სოციალური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება მეოცე საუკუნის დასაწყისში.**

**წიგნში ისტორიულ და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ფუნდამენტურად არის გაშუქებული ასი წლის წინანდელი ვითარება საქართველოში და მის უმშვენიერეს კუთხეში — აჭარაში.**

**დღევანდელ ურთულეს ვითარებაში, სწორედაც რომ დროული იყო ბატონი რეზოს ამ დიდებული ნაშრომის ქართველი მკითხველისა და საკითხით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის მიწოდება.**

**„მიუხედავად 300-წლიანი თურქეთის ტყვეობისა, შევეცადეთ თავიდან ბოლომდე გაგვეაზრებინა საფუძველი იმისა, რომ აჭარის მოსახლეობა ოცნებობდა თავის სამშობლოზე — დედა საქართველოზე და მასთან შეერთებაზე“. — წერს ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში.**

**დამეთანხმებით, ისტორიის გაკვეთილები და მით უმეტეს ანალიზი, მეტად საჭირო რამ არის იმ ვითარებაში მყოფი ქვეყნისთვის, როგორშიც ახლა საქართველო იმყოფება.**

**წარმოგიდგენთ ნაწყვეტს რეზო რომანაძის წიგნიდან „ისტორიული მეხსიერების ამნეზია“**



1918 წლის მარტში თურქეთმა მოახდინა ბათუმის ოკუპაცია. მიმდინარეობდა უკომპრომისო ბრძოლები აჭარის სხვადასხვა კუთხეში თურქეთის საჯარისო ფორმირებებთან. უნდა ითქვას, რომ ოკუპანტთა რიცხვი დაახლოებით 7.500 მეომარს შეადგენდა.

იყო თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს სერიოზული წინააღმდეგობა გაეწია თურქეთისთვის, თუ გავითვალისწინებთ, არცთუ ისე მრავალრიცხოვან თურქეთის ჯარისთვის?

ალბათ, იყო, თუკი საქართველო დახმარების გაწევაში დაიყოლიებდა მეგობრულ გერმანიას, რომელიც იმავდროულად თურქეთის მოკავშირე გახლდათ.

როგორც ცნობილია, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, რუსეთი „ჩაფლული“ იყო თავის პრობლემებში, რითაც ისარგებლა თურქეთმა და მოახდინა ბათუმის ოკუპაცია. ასე თუ ისე, 1918 წლის 4 ივნისს საქართველომ ნ. რამიშვილის, გენერალ ი. ოდიშელიძის, დეპუტატების - გ. გვაზავას და გ. რცხილაძის მონაწილეობით, თურქეთთან ხელი მოაწერა ე.წ. „მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებას“. დადებული ზავის მიხედვით, თურქეთ-საქართველოს საზღვარმა გაიარა მდინარე ჩოლოქზე და ა.შ. ტექსტის მიხედვით, ანუ მოექცა 1877 წლის მდგომარეობის ფარგლებში. ხელშეკრულების მიხედვით, თურქეთს აგრეთვე გადაეცა ბათუმის და ყარსის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, სურამელის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის სამი მეოთხედი და სხვ., ანუ დადებული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს ჩამოსცილდა 11.381 კვ.მ ტერიტორია 250 ათასი მცხოვრებით.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს და ოსმალეთს შორის დაიდო აგრეთვე დამატებითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საქართველო ვალდებული იყო დაუყოვნებლივ მოეხდინა ჯარების დემობილიზაცია, თავისი ტერიტორიიდან განედევნა ყველა სამხედრო და სამოქალაქო პირი იმ ქვეყნებისა, რომლებიც ოსმალეთს და მის მოკავშირეს ეომებოდნენ. გარდა ამისა, ოსმალეთმა მიიღო უფლება - კონტროლი დაეწესებინა საქართველოს მთავარ სტრატეგიულ რკინიგზაზე და ის თავისი და მოკავშირეების სამხედრო ინტერესებისთვის გამოეყენებინა.

ხელშეკრულების N 6 მუხლის შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები ლოცვის დროს დიდებით უნდა იხსენებდნენ სულთანის სახელს.

გასაცნობად გთავაზობთ დანართებს.

●

უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პოლიტიკური და სხვა მიზეზების გამო, ზემოთ ხსენებული ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა, მაგრამ თურქეთის პოლიტიკოსების ნაწილი დღესაც ახმოვანებს მოცემულობას იმის შესახებ, რომ სწორედ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, აჭარა თურქეთის შემადგენელი ნაწილია.

ამ პოლიტიკოსების ლოგიკა მარტივია - საქართველოში 1918 წლის 4 ივნისის სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა იმ დროს არსებული პოლიტიკური რყევებისა და სხვა მიზეზის გამო, შემდეგ კი რუსეთის მიერ საქართველოს გასაბჭოების და რუსეთის ფედერაციის საზღვრებში მოქცევიდან გამომდინარე. ყოვლად დასაშვებია, რომ საქართველოს გასაბჭოებამ ხელი შეუშალა ოსმალეთს იმპერიული გეგმების განხორციელებაში საქართველოსა და ამიერკავკასიაზე - თუ გადავურჩით ერთ იმპერიას, მოვექცევით მეორე იმპერიის ინტერესების სფეროში.

შეკითხვა - თუ რომელი დარჩებოდა საქართველოს სახელმწიფოს განვითარებისთვის უკეთესი, - არასწორი და არაამომწურავი იქნებოდა.

თუმცა, როგორც მოგვიანებით ვიხილავთ, საქართველოს ეროვნულ საბჭოში (საკანონმდებლო ორგანო) საქართველოს თურქეთის მიმართულებით ორიენტაციის არჩევას მომხრეები გააჩნდა, რაც იმდროინდელ პრესაში პოლემიკის საგანი გახლდათ.

საქართველოს იმ დროს გაუჩნდა უნიკალური საშუალება, ოპტიმალურად გამოეყენებინა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები.

შეგახსენებთ, რომ 1920 წლის 7 მაისს საქართველოს და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რუსეთი სცნობდა დამოუკიდებელ საქართველოს ჩვენთვის სანატრელ გეოგრაფიულ ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრით მდინარე ფსოუზე.

●

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების მნიშვნელობის შეფასების დემონსტრაციისთვის, დღევანდელი დღის გადასახედიდან, მინდა წარმოგიდგინოთ 2020 წლის 7 მაისის გაზეთში „კვირის პალიტრა“ დაბეჭდილი პუბლიკაცია - 1920 წლის 11 მაისის საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის, საქართველოს მთავრობის სახელით გაკეთებული საგანგებო განცხადება პარლამენტარებისთვის.

„მოქალაქენო! რუსეთს და საქართველოს შორის ზავის ხელშეკრულება დაიდო... ბოლოს და ბოლოს, ჩვენმა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და ჩვენმა ცდამ ნაყოფი გამოიღო... საზღვრების საკითხი გადაწყვეტილია საქართველოსთვის ხელსაყრელ პირობებში... არც რუსეთს და არც საქართველოს, თუ მათი მმართველი წრეები შეიკრებენ თავიანთი ხალხების ობიექტურ ინტერესებს, არ აქვთ სადავო საკითხები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელი არ იყოს მორიგებით და მოლაპარაკებით“.

საუკუნის წინათ მოსკოვში ხელმოწერილ ამ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, უფრო მეტიც, - თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, მასში დაფიქსირებული ზოგიერთი პრინციპი ამჟამადაც აქტუალურია და ქართულ-რუსული ორმხრივი ურთიერთობების პრობლემატიკაში გარკვეულად პრეცენდენტის როლის შესრულებაც შეუძლია.

მართალია, საქართველოს მთავრობამ დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე შექმნილ საერთაშორისო სიტუაციის კვალობაზე, პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარება დაიწყო, მაგრამ პარალელურად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ყოფილ მეტროპოლიასთან - რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას. ამ მიზნით, 1918 წლის 11 ივნისს, მოსკოვში გაიგზავნა დიპლომატიური მისია პარლამენტის წევრის გაბრიელ ხუნდაძის ხელმძღვანელობით.

აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში რუსეთის ხელმძღვანელობა გერმანიისა და მის მოკავშირეებთან დადებული ბრესტის ზავის პირობების გათვალისწინებით, ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თუ გავიხსენებთ იმას, რომ ბერლინი კონსტანტინოპოლთან ერთად, კავკასიაშიც დომინირებდა, მაშინ ნათელი იქნება, თუ რატომ გახდა კრემლი იძულებული, დათანხმებოდა ქართველი დიპლომატების მოსკოვში მიღებასა და მათთან საგარეო-სახალხო კომისარ გიორგი ჩიჩერინის შეხვედრას.

თუ გავითვალისწინებთ ქართული დიპლომატიური მისიის სტატუსს, აგრეთვე გაბრიელ ხუნდაძის მოლაპარაკებების ხასიათსა და დონეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, შეიძლება ითქვას, რომ 1918 წლის ზაფხულიდან დაწყებული, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტურმა რესპუბლიკამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა - დე-ფაქტო აღიარა. ამას ადასტურებს რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში საკონსულოების გახსნის ფაქტიც.

ამ დროიდან იწყება რუსეთ-საქართველოს პირდაპირი კავშირების ახალი ეტაპი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის დეპეშებმა, რომლებშიც გ. ჩიჩერინი საქართველოს თეთრგვარდიელებთან თანამშრომლობას საყვედურობდა.

საპასუხო ნოტებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა უარყო მსგავსი ბრალდება და მოსკოვს საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო მტრული მოქმედებებისგან თავის შეკავება ურჩია, განსაკუთრებით კი გაგრის რაიონის მიმართ, რომელსაც, სხვადასხვა წყაროების თანახმად, რუსეთი საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა. ქართველმა მინისტრმა მზადყოფნა გამოხატა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების მიზნით, რათა ყველა პრობლემატური საკითხი მშვიდობიანად გადაჭრილიყო.

საინტერესო ფაქტია, რომ გ. ჩიჩერინი ევგენი გეგეჭკორის მოთხოვნას გაგრის თაობაზე ყოველგვარი წინააღმდეგობისა და დისკუსიის გარეშე დათანხმდა: თბილისში გამოგზავნილ ნოტაში ნათქვამი იყო, რომ „რუსეთს საქართველოსთან ომისა და მის ტერიტორიაზე შეჭრის არავითარი სურვილი და განზრახვა არ აქვს“.

ამ დიპლომატიური მიმოწერების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი კი ის იყო, რომ რუსეთი დათანხმდა საქართველოს წინადადებას სამშვიდობო მოლაპარაკებისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. რუსეთის ამგვარი უპრეცედენტო ნაბიჯის მიზეზები ერთის მხრივ, - აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებაში და მეორე მხრივ, - საქართველოსა და რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსში უნდა ვეძიოთ.

ცნობილია, რომ 1920 წლის 17 აპრილს დაიწყო რუსეთ-პოლონეთის ომი და, შესაბამისად, მოსკოვს სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოება ჰაერივით სჭირდებოდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული წითელი არმიის ნაწილები პოლონეთის ფრონტზე გადაესროლა. თავის მხრივ, თბილისისთვის ასევე სასურველი და აუცილებელი იყო ტერიტორიული მთლიანობისა და ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა-განმტკიცების იურიდიული გარანტიები.

გარდა ამისა, აშკარაა, რომ საქართველოსთან სრულფასოვანი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობების დამყარება რუსეთის ტაქტიკურ ინტერესებშიც შედიოდა, რადგან:

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რადგან მისი მოქმედების ვადა სპეციალურად არაა მითითებული, ფორმალურად უვადოდ შეიძლება ჩავთვალოთ.

გარდა ამისა, მისი გაუქმება-დენონსაცია, ფაქტობრივად, არანაირი სამართლებრივი აქტით არ მომხდარა არც საქართველოს და არც რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ.

შეიძლება ითქვას, რომ ფორმალურად ორმხრივი დოკუმენტი ამჟამადაც ძალაშია, განსაკუთრებით, ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და რუსეთ-საქართველოს საზღვრის ზოგადი კონტურებისა და მიმართულების საკითხში; ანუ, სერიოზულ, ნაყოფიერ ანალიზსა და შედეგზე ორიენტირებული.




ურსულა ფონ დერ ლაიენი

# მსოფლიოს ქვეყნების ქალი თავდაცვის მინისტრები

უკანასკნელ ათწლეულებში გენდერული ბალანსი მოღვაწეობის ისეთ სფეროებშიც კი მიიღწევა, როგორიც თავდაცვა და უსაფრთხოებაა. მსოფლიოში სულ უფრო მეტი ქვეყნის თავდაცვის უწყებას ქალები ხელმძღვანელობენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ქალს შეუძლია კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება, ის აღმშენებელი უფროა. ყველაფერთან ერთად, ქალმა კარგად იცის ადამიანის სიცოცხლის ფასი და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ომი თავიდან აიცილოს...

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა წლებში სხვადასხვა პროფესიის ქალბატონებს ეკავათ ეს პოსტი — ფოტომოდელს, ჟურნალისტს, ელექტრიკოსს...

**ელიზაბეტ რენი**. ყველაზე პირველად მსოფლიოში თავდაცვის სამინისტროს სათავე-


ანალენა ბერბოკი

ში ელიზაბეტ რენი ჩაუდგა. ის ამ უწყებას ფინეთში 1990-1995 წლებში ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდეგ გაეროს გენერალური მდივნის თანაშემწე გახდა.

შვეიცარიაში თავდაცვის მინისტრი **ვიოლა ამჰერდია**, რომელიც 2019 წლიდან უდგას ამ უწყებას სათავეში. იმავე პერიოდში ქვეყნის იუსტიციისა და პოლიციის მინისტრი გახდა **კარინ კელერ-ზუტერი**.

ნიდერლანდების თავდაცვის მინისტრი **ჟანინ ხენის-პლასჰარტი ანკ ბეილეველდმა** შეცვალა, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში **მარინა პენდეშია** უწყების ხელმძღვანელი, მაკედონიაში — **რადმილა შეკერინსკაია**.

ასევე ქალები იყვნენ თავდაცვის მინისტრები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა, გერმანია, იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი...

**ურსულა ფონ დერ ლაიენი** გერმანიის თავდაცვის მინისტრი 2013-2019 წლებში იყო, ვიდრე ევროკომისიის ხელმძღვანელი არ გახდა. მას მიიჩნევენ მკაცრ, მაგრამ სამართლიან ხელმძღვანელად. ურსულა შვიდი შვილის დედაა.

დღეს ეს პოსტი **კრისტინა ლამბრეხტს** უკავია.

იტალიაში ორი ქალი ედგა სათავეში თავდაცვის სამინისტროს. **ელიზაბეტ ტრენტა**, რომელიც დღეს იკავებს მინისტრის პოსტს ლიბანისა და ერაყის მთავრობების სამხედრო მრჩეველი იყო.

ავსტრიის თავდაცვის მინისტრის **ანალენა ბერბოკის** შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებ...

**კარმე ჩაკონი**. რამდენიმე წლის წინათ ესპანეთის მინისტრთა კაბინეტის შექმნისას ბევრს საუბრობდნენ სოციალისტური პარტიის წევრზე კარმე ჩაკონზე, რომელიც იმხანად ფეხმძიმედ იყო. ზოგიერთი პოლიტიკოსი მის დანიშვნას დღესაც სისულელედ მიიჩნევს. მიუხედავად ამისა, ის აქტიურად სწავლობდა სამხედრო საქმეს, ამოწმებდა ესპანელ გენერლებს და ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას ესწრებოდა. მინისტრის პოსტს


ჯანეტ ნაპოლიტანო

2008 წლის აპრილიდან 2011 წლის დეკემბრამდე იკავებდა.

**მარგარიტა რობლესმა** თავდაცვის მინისტრის პორტფელი 2018 წლის 7 ივნისს დაიკავა. მას შემდეგ ის კონსერვატიული ესპანეთის მესამე ქალი-თავდაცვის მინისტრია. ის ღირსეულად უძღვება საქმეს და თავისი თანამოქალაქეების იმედებს ამართლებს.

**მიშელ ალიო-მარი**. საფრანგეთის ყოფილ თავდაცვის მინისტრს ყველა თვისება გააჩნია პოლიტიკოსისთვის — ამბიციურია, ცივსისხლიანია, უყვარს ექსტრიმი. ამასთან, ძალიან ელეგანტურია. მას „პოლიტიკოს გრეტა გარბოსაც" კი ეძახიან ზურგსუკან.

ძალოვან სტრუქტურებში მიშელი 2002 წლიდან იყო და თავდაცვის მინისტრის პოსტი ეკავა. 2007 წლიდან მხარს უჭერდა ნიკოლა სარკოზის. შედეგად, შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი ერგო (2007-2009), შემდეგ იუსტიციის მინისტრი იყო 2009-2010 წლებში, მოგვიანებით კი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. 2011 წელს პოლიტიკურ სკანდალში გაეხვია და პოსტიდან წასვლამ მოუწია.

**კარინ ენსტრემი**. კარინი შვედეთის თავდაცვის მინისტრი 2012-2014 წლებში იყო. მისი მეუღლე პროფესიონალი სამხედროა.

**რასა უიკნიავიჩენე**. ლიეტუას თავდაცვის მინისტრი ყოფილი პედიატრია. ის აქტიურად ლობირებს ლიეტუას მონაწილეობას ნატოს ყველა სამხედრო ოპერაციაში და თავის ქვეყანაში ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ცენტრის დაარსებას აპირებს. რასა ფლობს ინგლისურ, რუსულ და ნორვეგიულ ენებს. მისი მეუღლე ადვოკატია.

**ლინდა მურნიეცე**. ლინდა ლატვიის ისტორიაში პირველი თავდაცვის მინისტრი სულ რამდენიმე თვის განმავლობაში იყო. მოგვიანებით შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა (2009-2011 წლები). ლინდა ჟურნალისტია. კარგად ისვრის. გაეყარა ქმარს, რომელთანაც


რასა იუკნიავიჩენე

ორი შვილი ჰყავს და არაბული წარმომავლობის ექიმს გაჰყვა ცოლად.

**ვლასტა პარკანოვა**. ყოფილი ჯაზის მომღერალს ვლასტა პარკანოვას ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის პოსტი 2002-2007 წლებში ეკავა. 1997-98 წლებში ის იუსტიციის მინისტრიც იყო.

2017 წლამდე 18 წლის განმავლობაში ნორვეგიაში თავდაცვის მინისტრის პოსტი მხოლოდ ქალებს ეკავათ.

**ჯანეტ ნაპოლიტანო**. იურისტის, მოგვიანებით კი პროკურორის ჯანეტ ნაპოლიტანოს თავბრუდამხვევი კარიერა 2002 წელს დაიწყო, როცა არიზონას შტატში საგუბერნატორო არჩევნებში გაიმარჯვა. ის ორჯერ იყო გუბერნატორი. იმ პერიოდში ყურადღებას ამახვილებდა განათლების საკითხებზე, მასწავლებლების ხელფასების მომატებასა და არალეგალურ ემიგრაციასთან ბრძოლაზე. თუ მისი მოღვაწეობის დასაწყისისთვის შტატის ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის მილიარდი დოლარი იყო, 2006 წლისთვის ის პროფიციტული გახდა და დაახლოებით 2005 მილიონი დოლარი შეადგინა.

ჯანეტი ბარაკ ობამას უჭერდა მხარს და როცა ნაციონალური უსაფრთხოების მინისტრი გახდა, უარი თქვა აშშ-ის მოქალაქეების თანამგზავრიდან თვალთვალზე, რასაც ამერიკელების პირად ცხოვრებაში ჩარევად მიიჩნევდა.

**იურიკო კოიკე**. იაპონიის ისტორიაში პირველი თავდაცვის მინისტრი ქალის სამხედრო კარიერა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. პოსტზე ერთ თვესაც ვერ გაძლო და იძულებული გახდა, თანამდებობიდან წასულიყო ამერიკული რაკეტსაწინაღმდეგო სისტემის „იჯისის" შესახებ საიდუმლო ცნობების გაჟონვის გამო.

ყოფილი ფოტომოდელი 48 წლის **მარტა ლუსია რამირესი** 2002 წლის აგვისტოში პირველი კოლუმბიელი ქალბატონი გახდა, რომელიც სათავეში ჩაუდგა თავდაცვის უწყებას. ერთი წლის შემდეგ თადარიგში გავიდა. ამ პერიოდშიც კი მარტა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი გახდა. მისი მინისტრობის დროს 22%-ით შემცირდა მკვლელობების დონე, 35%-ით ადამიანების მოტაცება და 70%-ით — ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა.

ქალები თავდაცვის სამინისტროებს ხელმძღვანელობდნენ არგენტინაში, ურიგვაისა და ჩილეში.

ბოლო დროს ქალები შესაშურ პრინციპულობას ავლენენ. მაგალითად, **ნილდა გარე**, რომელმაც 2005 წლის ბოლოს არგენტინის თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა, განაცხადა, რომ ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები უარს ვეღარ იტყოდნენ სამხედრო დიქტატურის პირობებში მომხდარი ადამიანების მოტაცებისა და მათი წამების შესახებ ჩვენებების მიცემაზე.

2007 წელს ეკვადორის თავდაცვის მინისტრი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ლორენა ესკუდერო** გახდა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა პრეზიდენტ რაფაელ კორერას წინასაარჩევნო კამპანიაში.

აფრიკაში თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავიათ ქალებს გაბონში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, კენიაში, ეთიოპიაში.

აზიის ქვეყნების — ინდოეთის, შრი-ლანკას, მალდივებისა და ბანგლადეშის თავდაცვის მინისტრებიც ქალები არიან.

რადგან ქალები უფრო მშვიდობისმოყვარეები არიან, ვფიქრობთ, რომ, თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ქალები დაიკავებენ თავდაცვის მინისტრების პოსტებს, მსოფლიოში ომი აღარ იქნება...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

# კოვიდი ვინც გადაიტანა „გულის ელექსირი“ ყველამ უნდა მიიღოს!

უნიკალური ლიცენზირებული ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“**, რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება გახდა. **„გულის ელექსირი“** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება.

გაზაფხულზე ხშირია გეომაგნიტური დღეები: წნევა ცვალებადობს, წარმოიქმნება არითმიები. ადმიაანები უჩივიან მოთენთილობას, ადვილად დაღლას. მატულობს ინფარქტების, ინსულტების წარმოშობის რისკი. სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს“**.

**„გულის ელექსირი“:**

1. ხსნის სპაზმებს;
2. კვებავს გულის კუნთს;
3. აფართოებს სისხლძარღვებს;
4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;
5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;
6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;
7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.

რაც მთავარია: წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.



**„გულის ელექსირის“** შემქმნელმა ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა თითქმის 15 წელი მოანდომა **„გულის ელექსირის“** ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასობით პაციენტზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული, **„გულის ელექსირი“** დარეგისტრირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არა როგორც საკვები დანამატი, არამედ როგორც სამკურნალო წამალი, ყოველგვარი გვერდითი მოქმედებებისა და მიჩვევის ეფექტის გარეშე.

**„გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში რეცეპტის გარეშე გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ყოფნის 1 თვეზე მეტხანს!

**გულის ელექსირი ყველა საააფთიაქო ქსელშია: 593 31 70 34**



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია დიდი მწუხარებით და გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე ჟურნალისტი, სახელმწიფოებრივი აზროვნებით გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, თაობების აღმზრდელი და გზის გამკვლევი, შესანიშნავი პიროვნება**

**არმაზ სანებლიძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, მის ახლობლებსა და მეგობრებს, მისის შემოქმედების პატივისმცემელ მკითხველთა მრავალრიცხოვან საზოგადოებას.**

„საერთო გაზეთი“

# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69**

**— სასამართლოები განაჩენის გამოტანის დროს ხშირად დამატებით ნიშნავენ იარაღთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რას ნიშნავს ეს?**

— დიახ, გარკვეული კატეგორიის დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს დამატებით სასჯელად ინიშნება იარაღთან დაკავშირებული შეზღუდვები.

დაგიკონკრეტებთ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლზე მითითებით:

მუხლი 521. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა

1. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა ნიშნავს იარაღის დამზადების, შეძენის ან/და იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის, ტარების ან/და გამოყენების შეზღუდვას ან/და აკრძალვას.

2. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არის გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით.

3. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის დამატებით სასჯელად დანიშვნისას აუცილებელი არ არის, იარაღი დანაშაულის იარაღი იყოს ან დანაშაულის ჩასადენად იყოს გამიზნული.

4. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა სასჯელად ინიშნება ერთიდან ხუთ წლამდე ვადით.

5. ძირითად სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან შინაპატიმრობის დანიშვნისას, აგრეთვე პირობითი მსჯავრის დროს დამატებით სასჯელად დანიშნული იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აითვლება სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. ძირითად სასჯელად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას დამატებით სასჯელად დანიშნული იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აითვლება ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან.

6. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის შემთხვევაში იარაღის ჩამორთმევა ხდება და ჩამორთმეული იარაღი შეინახება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შენიშვნა: ამ სასჯელის მიზნებისათვის ტერმინს „იარაღი“ აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

აქვე, დავძენთ, რომ იარაღი ხსენებული კანონის მიხედვით არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად, ან ხმოვანი (აკუსტიკური) ეფექტის მისაღებად;

* * *

**— როგორ არის დარეგულირებული კანონის მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის საკითხი?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს ამომწურავად პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87–89-ე მუხლები, რომელთა შინაარსსაც წარმოგიდგენთ მთლიანად:

— მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;



ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

## საერთო გაზეთი“

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99